პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი,
12
აპრილი
1937 წ.
№ 84 (4885)

დღეს გაზეთში:

- სერიოზული გაფრთხილება! (მოწინავე)
- საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში
- აღკვეთოთ დამახინჯებანი პარტორგანოების არჩევნებში!
- გ. მიხანაშვილი — სარევიზიო კომისიები — მოწოდების სიმაღლეზე (ფელეტონი)
- საგაზეთო კულტურა და უდარდელი რედაქტორები (პრესის მიმოხილვა)
- კ. ორაგველიძე — რიკარდო ქართულად (ფელეტონი)
- გრიგოლ ცეცხლაძე — ორდენოსანი (ლექსი)
- მაიორი — ბრძოლის ეპიზოდები (ფელეტონი)

უცხოეთში:

- მთავრობის ჯარების წარმატებითი შეტევა მადრიდის ფრონტზე
- იტალიელ „მოხალისეთა" გაგზავნა ესპანეთში
- ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა გერმანიაში
- გერმანიის კათოლიკე მოღვაწეთა პროცესი.

სერიოზული გაფრთხილება!

მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ლენინ-სტალინის პარტიის პირველადი ორგანიზაციების ორგანოთა არჩევნები პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის მითითებათა საფუძველზე.

დიდი აქტიობით ტარდება საარჩევო კრებები. ბოლშევიკური კრიტიკის და თვითკრიტიკის ქარცეცხლში ტარდება ძირეული ორგანიზაციების მუშაობა. მოურიდებლად ამხელენ ნაკლოვანებებს, საამქარაოზე გამოაქვთ პარტიული მუშაობის სუსტი მხარეები და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ახლებურად მუშაობისათვის.

პირველადი ორგანიზაციების კომიტეტებში ასახელებენ და ირჩევენ საუკეთესოებს უკეთესთაგან, იმათ, ვინც საქმით დაამტკიცა განუსაზღვრელი ერთგულება პარტიისადმი. მტკიცე ბოლშევიკები, უნარიანი ამხანაგები, სტახანოველები, დამკვრელები—აი ვინ იყრის თავს პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში.

დიდი აქტივობის ნიშნის ქვეშ ტარდება პარტორგანოების არჩევნები საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებშიაც. პარტიულ კრებებზე დასწრება უჩვეულოა. ხშირად კამათში გამოსვლის მსურველია პირველადი ორგანიზაციის თითქმის მთელი შემადგენლობა. კამათში გამოდიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც წინათ პასიურ კომუნისტებად იყვნენ მონათლული. მკვეთრი, საღი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძლიერი ხმა გაისმის პარტიულ კრებებზე. ფართოდ გაიშალა შინაპარტიული დემოკრატია. პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკური მზადყოფნით ხვდებიან მობრუნებას პარტიისა და მთელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ საქმე ყველგან როდი მიდის კარგად. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ იცავენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებას. პარტიის ცალკეული რაიონული და საქალაქო კომიტეტები უხეშად არღვევენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივებს „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ".

ავიღოთ მაგალითად ფარული კენჭისყრის წესები. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 20 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „იმ შენობაში, სადაც დათვლა ხდება, უფლება არავის აქვს იმყოფებოდეს, გარდა დამთვლელი კომისიის წევრებისა". ცენტრალური კომიტეტის ეს დირექტივა, როგორც ვხედავთ, კატეგორიულად კრძალავს ფარული კენჭისყრის შედეგების დაჯამებაში დამთვლელი კომისიის არა წევრის მონაწილეობას. ფარული კენჭისყრის შედეგებს აჯამებს მხოლოდდამხოლოდ დამთვლელი კომისია. თვით დამთვლელი კომისიის შემადგენლობა აუცილებლად იმ ორგანიზაციის წევრებისაგან უნდა შესდგებოდეს, სადაც არჩევნები ხდება.

მითითება სავსებით მკაფიო და ნათელია. მაგრამ აღმოჩნდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები და ამხანაგები, რომლებიც ამ ელემენტარულ საკითხებში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან.

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციაში, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციას წარმოადგენს საქართველოში, ბევრგან უხეშად დაარღვიეს შინაპარტიული დემოკრატიის კანონები, დაამახინჯეს ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი მითითებანი. ინდუსტრიული მუშფაკის და „ლიტოპონმშენის" პარტორგანიზაციებში სრულიად არ აურჩევიათ დამთვლელი კომისიები, ხმების დათვლას ახდენდნენ ქალაქკომის წარმომადგენლები. ამ ორგანიზაციებში დამთვლელი კომისიებს არჩევნების შემდეგაც იმ ადგილას, სადაც მუშაობდა დამთვლელი კომისია, იმყოფებოდნენ ქალაქკომის წარმომადგენლები და გარეშე პირები. ასეთსავე ფაქტს ჰქონდა ადგილი ქალაქის პროფსაბჭოს პარტიულ ორგანიზაციაში. საზოგადოება „ბავშვთა მეგობრის" ქუთაისის განყოფილების პარტორგანიზაციაში ხმების დამთვლელ კომისიაში აირჩიეს ამხანაგები, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრად არც კი ითვლება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივის დარღვევის ასეთი უხეში ფაქტები იმით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა, პარტიულმა კომიტეტმა მთლიანად საფუძვლიანად ვერ გაიგო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შინაარსი და მნიშვნელობა. წვრილმანი მეურვეობითა და პირველადი ორგანიზაციების მიმართ ერთგვარი უნდობლობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქუთაისის ქალაქკომი, თავისი წარმომადგენლების სახით, უხეშად ერეოდა დამთვლელი კომისიის ფუნქციებში, წარმომადგენლები იწევდნენ დამთვლელი კომისიის მაგიერობას.

ძირეული ორგანიზაციებისადმი „ხელმძღვანელობისა" და „დახმარების" ასეთი მეთოდი შეუთავსებელია შინაპარტიული დემოკრატიის კანონებთან. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ფარული კენჭისყრით ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებს და სახავენ ბოლშევიკურ ღონისძიებებს მომავალი მუშაობისათვის, იქვე არაა, „რწმუნებულთა" დაუხმარებლადაც შესძლებენ კენჭისყრის შედეგების დაჯამებას!

ნიშნავს ის იმას, რომ პარტიულმა ორგანოებმა ხელი უნდა აიღონ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობაზე, რომ ისინი განზე უნდა გადგნენ? სრულიადაც არა! ჩვენი პარტიის აგების პრინციპი—დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი კი არ გამორიცხავს, პირიქით, ჰგულისხმობს ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობას ძირეული ორგანიზაციებისადმი. მაგრამ ხელმძღვანელობა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ მან უზრუნველყოს შინაპარტიული დემოკრატიის ურყევად დაცვა, პარტიული ცხოვრების კანონების სტალინური ნებისყოფით გატარება.

პარტიის ქუთაისის ქალაქკომი უადგილოდ ჩარევას რომ არ გაეტაცნა, შეინიშნავდა არჩევნებში დაშვებულ მთელ რიგ უხეშ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პირველად ორგანიზაციებში, როგორიცაა ყუთების გახსნისას ოქმის შეუდგენლობა, საარჩევნო კრებების ოქმების თავის დროზე გაუფორმებლობა მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში. უნდა ითქვას შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ასეთი მახინჯი ფაქტები ნაკლებად იყო მოსალოდნელი ორდენოსანი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის—ქუთაისის პარტორგანიზაციაში. მაგრამ საქმე ფაქტებთან გვაქვს, ხოლო ფაქტი, როგორც ვიცით, ჯიუტი რამეა!

ქუთაისის ქალაქკომის შეცდომები გამონაკლისი როდია. მსგავს შემთხვევებს ვხვდებით სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიაც. მაგალითად, წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის პარტორგანიზაციაში დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა რაიკომის წარმომადგენელი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივათა ამ უხეშ დარღვევას არამც თუ ვერ ამჩნევდა რაიკომის მდივანი ამხ. კვირიკაძე, რომელიც დაესწრო კრებას, მეტიც კიდევ, ის თვითონ ღებულობდა მონაწილეობას ამ დარღვევაში — დაესწრო დამთვლელი კომისიის მუშაობას. ყულევის პარტორგანიზაციის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ფოთის ქალაქკომის ინსტრუქტორი, ხოლო ჯუღელის რაიონის შორაპნის ტერიტორიულ ორგანიზაციასა და დამზადების კანტორის პარტორგანიზაციაში — რაიკომის წარმომადგენელი.

ეს და მთელი რიგი სხვა ანალოგიური ფაქტები ამტკიცებენ, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ბევრგან ჯერ კიდევ ვერ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამხანაგი სტალინის მოხსენებიდან.

საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ისე უნდა დააყენონ ხელმძღვანელობა პირველადი პარტორგანიზაციებისადმი, რომ მომავალში ერთხელაც აღარ განმეორდეს არჩევნების წესის დამახინჯების შემთხვევები.

შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები გადაჭრით უნდა აღიკვეთოს, ცენტრალური კომიტეტის მითითებანი მტკიცედ უნდა შესრულდეს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ქუთაისის ქალაქკომის შეცდომების შესახებ, რომლის შინაარსი დღეს იბეჭდება „კომუნისტში", წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას ჩვენი პარტიულ ორგანიზაციებისათვის. ამ გაფრთხილებიდან მათ ბოლშევიკურად უნდა გააკეთონ სათანადო დასკვნა. პარტიულ ორგანოთა არჩევნები უნდა ჩავატაროთ სანიმუშოდ, როგორც ეს შეშვენის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ერთ-ერთ მოწინავე საბრძოლო რაზმს, ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციას!

ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა გერმანიაში

პარიზი, 10 აპრილი (საქდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს ჰავასის სააგენტოს დეპეშას ბერლინიდან, რომლის თანახმადაც გერმანიის დედაქალაქში ავრცელებენ „გერმანიის თავისუფლების პარტიის" მიერ ხელმოწერილ არალეგალურ ფურცლებს. პირველ ფურცელში აღნიშნულია, რომ ამ პარტიის მიზნებს შეადგენს: ბრძოლა ავანტიურების პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა დიდი კონცერნების წინააღმდეგ, რომლებიც სძარცვავენ გერმანიის სახალხო მეურნეობას, სოციალური სამართლიანობა, საკუთარი თავისუფლების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუდგომლობა, აზრთა თავისუფლება. ფურცელში დასმულია საკითხი, რომ დათხოვნილ იქნას ახლანდელი რაიხსტაგი და მოხდეს ახალი პარლამენტის არჩევნები პრესის თავისუფლებისა და კრების თავისუფლების დაცვით.

საგარეო პოლიტიკაში პარტია მოითხოვს „მშვიდობიანობის ყველა ხალხთან, ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით საფრანგეთთან, პოლონეთთან, და ჩეხოსლოვაკიასთან დაახლოვების პოლიტიკას". ფურცელში ხაზგასმულია, რომ საჭიროა შესწყდეს ის დახმარება, რომელსაც გერმანიის მთავრობა ესპანელ მეამბოხეებს უწევს. „ჩვენ არ გვსურს ახალი ომი, ჩვენ არ გვსურს ჩვენი სამშობლოს დაღუპვა. ჩვენ არ გვსურს ავანტიურები",—აცხადებენ ფურცლის ავტორები.

ფურცელი მოუწოდებს ყველას გაავრცელონ ეს აზრები მოსახლეობაში და თავდება შეძახილით: „ჰაილ დოიჩლანდ".

მეორე ფურცელი მიძღვნილია ესპანეთის ამბებისადმი და მოითხოვს გატარდეს პლებისციტი (სახალხო კენჭისყრა) საკითხზე—კვლავაც უნდა მონაწილეობდეს თუ არა გერმანია ესპანეთის ომში და უნდა აგზავნიდეს თუ არა ესპანეთში საომარ საჭურველსა და ჯარებს.

მდგომარეობა ესპანეთში

მთავრობის ჯარების წარმატებითი შეტევა მადრიდის ფრონტზე

ლონდონი, 10 აპრილ (საქდესი). ესპანეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მადრიდის ფრონტზე სწარმოებს რესპუბლიკის ჯარების დიდი შეტევა. გუშინ ჯერ გათენებული არ იყო, რომ მთავრობის არტილერიამ გაძლიერებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა პოზიციებს მთელ ხაზზე, ელ პარდოდან კარაბანჩელამდე. როგორც კი ინათა, მთავრობის ყუმბარმტყორცნებმა და ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მეამბოხეთა პოზიციებზე, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო უბანში და კაზა დელ კამპოში. ამ ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობდა მთავრობის 70 თვითმფრინავი.

საარტილერიო მომზადების შემდეგ მთავრობის ერთმა კოლონამ დაიწყო შეტევა პუერტო იეროდან მდინარე მანსანარესის გასწვრივ, ხოლო მეორე კოლონამ—ფრანგული ხიდიდან. გუშინ საღამოს ეს კოლონები თითქმის ერთმანეთს შეუერთდნენ, დაარღვიეს რა მეამბოხეთა საკომუნიკაციო ხაზები კაზა დელ კამპოსა და საუნივერსიტეტო უბანს შორის.

რესპუბლიკის ჯარებმა წინ წაიწიეს პუებლა დი მონტალბანის მახლობლად, ტოლედოსა და ტალავერას შუა.

პარიზი, 10 აპრილ (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, 10 აპრილს შუადღისას გამოქვეყნდა მადრიდის დაცვის კომიტეტის კომუნიკე, რომელშიაც ნათქვამია, რომ რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა მადრიდის ფრონტზე წარმატებით ვითარდება. კარაბანჩელსა და კაზა დელ კამპოში წინ წაწევის შემდეგ რესპუბლიკელები გადავიდნენ ახალ შეტევაზე, რომელმაც საშუალება მისცა მათ დაეკავებინათ ტრანშეების მნიშვნელოვანი ხაზი კორუნის გზაზე, კუესტა და ნისის გადაღმა. საუნივერსიტეტო უბანში გამაგრებულ მეამბოხეთა საკომუნიკაციო ხაზებს ტყვიამფრქვევებს უშენენ რესპუბლიკელები.

არაგონიის ფრონტზე

ლონდონი, 10 აპრილი (საქდესი). არაგონიის ფრონტზე ბრძოლები სწარმოებს უესკის, ალკანისის და ტერუელის სექტორებში. ბარსელონიდან მიღებული ცნობების თანახმად, უესკის სექტორში რესპუბლიკელებმა დაიკავეს 4 სოფელი. რესპუბლიკელთა ხელში იმყოფება უესკისაკენ მიმავალი ყველა გზა. მეამბოხეთა საკომუნიკაციო ხაზები სავსებით გადაჭრილია. მთავრობის თვითმფრინავებმა დაანგრიეს სიმაგრეები და ააფეთქეს სამხედრო მასალის საწყობი ერმიტა სანტა კიტერიაში.

რესპუბლიკელები განაგრძობენ მოწინააღმდეგის შევიწროვებას ალკანისისა და ტერუელის სექტორებში. ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებს არტილერია და ავიაცია, რომლებიც ყუმბარებს უშენენ სტრატეგიულ პუნქტებს.

მეამბოხეთა თვითმფრინავებმა, რომლებიც როგორც სჩანს, მაიორკის კუნძულიდან მოფრინდნენ, მთელი რიგი თავდასხმა მოახდინეს არაგონიის სანაპიროზე. მათ ყუმბარები დაუშინეს ტარაგონსა და რეუსს (ტარაგონის ჩრდილო-დასავლეთით).

პარიზი, 10 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ უესკის ფრონტზე რესპუბლიკის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა პოზიციებს ტარანსა ვიველ დელ რიოში და კალამოჩისაკენ მიმავალ გზაზე.

მადრიდისათვის ჰაერიდან ყუმბარების დაშენის მსხვერპლნი

მადრიდი, 10 აპრილი (საქდესი). „ელ ლიბერალის" ცნობებით, ფაშისტთა ავიაციის მიერ მადრიდისათვის ყუმბარების დაშენის შედეგად 9 აპრილამდე მოკლულია 1.149 კაცი, დაჭრილია 3.502, დანგრეულია 980 შენობა.

გენერალ ფრანკოს დასახმარებლად

ბერლინი, 10 აპრილი (საქდესი). გუშინ კილის არხში გავლით ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვაში შევიდა გერმანიის 2 წყალქვეშა ნავი: „უ—25" და „უ—27". როგორც ოფიციალურად დასტურდება, ორივე წყალქვეშა ნავი მიემართება ესპანეთის წყლებში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების გასაძლიერებლად.

◇ ◇ ◇

გერმანიის კათოლიკე მოღვაწეთა პროცესი

ბერლინი, 10 აპრილი (საქდესი). პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმ თვალსაჩინო კათოლიკე მოღვაწეთა ჯგუფის პროცესს, რომლებსაც ბრალად ედებათ „სახელმწიფო ღალატი". ეს პროცესი ამჟამად მიმდინარეობს ბერლინში, ეგრეთწოდებულ „სახალხო სასამართლოში". ბრალდებულთა სკამზე სხედან: კათოლიკური ახალგაზრდობის კავშირის ყოფილი გენერალური მდივანი კლემენსი, კათოლიკური ახალგაზრდობის დამკვრელი რაზმების ხელმძღვანელი შტებერი, რურის ოლქში პოპულარული ორი მღვდელი—როსაინტი და კრემერი და სამი სხვა ბრალდებული, რომლებიც სასამართლოს ანგარიშებში აღნიშნული არიან მხოლოდ ინიციალებით და რომლებიც სასამართლოს აძლევენ ყველა საჭირო ჩვენებას.

ბრალდების ძირითადი პუნქტი ამბობს, რომ ბრალდებულნი ანხორციელებდნენ ერთიან ფრონტს მუშათა მოძრაობასთან და კომუნისტებთან თვით 1934 წლის შემოდგომამდე, როდესაც ისინი დაპატიმრებული იქნენ.

დაკითხვისას როსაინტმა სთქვა: ჩემს მრევლში ბევრი იყო კომუნისტი, ვინაიდან იქ ბევრი უმუშევარი იყო, ხოლო „უმუშევართა უმრავლესობა კომპარტიას ეკუთვნოდა". როდესაც სასამართლოს თავმჯდომარემ წაიკითხა ბრალდებულთა გაჩხრეკისას აღმოჩენილი, ვითომ პრაღაში დაბეჭდილი ფურცლები, რომლებსაც გერმანიაში არალეგალურად ავრცელებდნენ და რომლებშიაც კათოლიკურ ახალგაზრდობას მოუწოდებდნენ ფაშიზმთან ბრძოლისაკენ,—როსაინტმა პირდაპირ უპასუხა: „ჩემი აზრით კათოლიციზმს უშუალო საფრთხე სწორედ ფაშიზმის მხრიდან მოელის". როსაინტმა, გარდა ამისა, განაცხადა, სახელმწიფოს მოთხოვნაზე — დაარღვიონ საეკლესიო მორალი (ნაგულისხმევია ფაშიზმის „რასული" კანონმდებლობა), მორწმუნეებმა „პასიური წინააღმდეგობით" უნდა უპასუხონ.

საერთოდ ბრალდებულებს ერთგვარად ღირსეულად უჭირავთ თავი. ასე, მაგალითად, ბრალდებულმა კრემერმა განაცხადა: მშვიდობიანობის იდეა ჩემთვის ყველაფერზე მაღლა დგას და ამ იდეისათვის პროპაგანდას ვეწეოდი, ბრალდებულმა როსაინტმა კი გამოიჩინა ვაჟკაცობა საჯაროდ განეცხადებინა სასამართლოში: „მე მტკიცე პაციფისტი ვარ და გერმანიის შეიარაღებაში ვხედავ საფრთხეს მშვიდობიანობისათვის". მიუხედავად სასამართლოს თავმჯდომარის ყველა მოთხოვნისა, მან უარი სთქვა აგრეთვე დაედასტურებინა გერმანელი ფაშისტების ანტისაბჭოთა ზღაპრები.

იტალიელ „მოხალისეთა" გაგზავნა ესპანეთში

პარიზი, 10 აპრილი (საქდესი). „პტი ჟურნალი" იუწყება, რომ გენუაში თავს უყრიან „მოხალისეთა" ახალ რაზმს, რომლებიც გაწვეული არიან იტალიის არმიაში ესპანეთს გასაგზავნად.

21 მარტს გენუიდან სწრაფმავალი ნაღმოსნების თანხლებით გავიდა გემი „პრაია", რომლიზედაც იმყოფებოდა 100 ოფიცერი და 20 უნტერ-ოფიცერი. გემი ესპანეთიდან დაბრუნდა 2 აპრილს და ახლა მიჰყავს ოფიცერთა მეორე ჯგუფი.

იტალიელი ჯარისკაცები უარს ამბობენ რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე

პარიზი, ფრანს მონდის სააგენტო იუწყება, რომ იტალიის ბევრ ქალაქში მოხდა რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობის გამოსვლები. მოსახლეობაში ავრცელებდნენ ათასობით ფურცლებს, რომლებიც ჰგმობენ იტალიის მთავრობის პოლიტიკას. ბევრ ქალაქშიააფრიალეს წითელი დროშები, აგრეთვე სახლებს გაუკეთეს ანტიფაშისტური წარწერები.

სააგენტოს მიერ რომიდან მიღებული ცნობების თანახმად, საბაუდიაში (რომის მახლობლად) მე-63 ქვეითი ლეგიონის ბევრმა ჯარისკაცმა უარი განაცხადა ესპანეთში გამგზავრებაზე. ლეგიონში მოვიდა მემკვიდრე პრინცი, მაგრამ ვერც მან დაიყოლია ჯარისკაცები. უკანასკნელ დღეებში ლეგიონი საფრანგეთის საზღვარზე გადაიყვანეს.

პოლიციის მხრივ რეპრესიები გაძლიერდა. გენუაში დააპატიმრეს მრავალი მუშა (საქდესი).

◇

საბჭოთა გემების „კომსომოლისა" და „სმიდოვიჩის" კომანდების ბედი

მოსკოვი, 11 აპრილი (საქდესი). საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თხოვნით, იტალიის მთავრობამ ფრანკოსთან მყოფი თავისი დიპლომატიური წარმომადგენლის საშუალებით შეკრიბა ცნობები საბჭოთა გემების „კომსომოლისა" და „სმიდოვიჩის" კომანდების ბედის შესახებ.

ამჟამად იტალიის ელჩმა მოსკოვში ბ-მა როსომ აცნობა სახალხო კომისარს ამხანაგ ლიტვინოვს, რომ აღნიშნული გემების კომანდები ინტერნირებული არიან ესპანელ მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და რომ გემი „სმიდოვიჩი" იმყოფება ესპანეთის ერთერთ ნავსადგურში, რომელიც დაკავებული აქვთ მეამბოხეებს.

საბჭოთა კავშირში

რესტავრაცია სახლისა, სადაც მოხდა რსდმპ-ის პირველი ყრილობა

მინსკი, 10 აპრილი (საქდესი). 12 აპრილს მინსკში გაიხსნება რესტავრირებული ისტორიული სახლი, სადაც 1898 წელს მოხდა რსდმპ-ის პირველი ყრილობა. ამ სახლის სამ ოთახში თავმოყრილია სხვადასხვა მასალა, რომელიც ასახავს რსდმპ-ის ისტორიას და ლენინისა და სტალინის ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის დაარსებისათვის.

ცენტრალური ადგილი უკავია დოკუმენტებსა და მასალას, რომელიც შეეხება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და მის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" საქმიანობას. აქ მნახველი გაეცნობა ლენინის მიერ დაწერილი და კავშირის მიერ გამოცემული ფურცლების ფოტოასლებს; რსდმპ-ის პროგრამის პროექტისა და ვლადიმერ ილიჩის ზოგიერთი წერილის ფოტოასლებს და სხვ.

მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტები ასახავენ ამხანაგი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას ამიერკავკასიაში.

დიდი კარტოგრამა იძლევა წარმოდგენას ყრილობის პერიოდისა და იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ ყრილობაში სხვადასხვა ქალაქიდან. ექსპონატთა შორის წარმოდგენილია ყრილობის მონაწილე ჯგუფთა ფოტოგრაფიები, რსდმპ-ის მანიფესტისა და ყრილობის მიერ საორგანიზაციო საკითხების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა ფოტოასლები. აქვე მოცემულია ლენინის შეფასება იმისა, თუ რა ადგილი უჭირავს პირველ ყრილობას პარტიის ისტორიაში და რა როლი შეასრულა მან.

დეპეშა ხიხონიდან (ესპანეთი) პ. კ. სრ.-საკ. ც. ს-ში

მოსკოვი, 9 აპრილი (საქდესი). პ. კ. სრ.-საკ. ც. ს. მდივნის ამხ. შვერნიკის სახელზე ხიხონიდან (ესპანეთი) მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ასტურიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის საოლქო ყრილობა 900 დელეგატის შემადგენლობით, რომელნიც 130 ათასი მუშის წარმომადგენელნი არიან, აღფრთოვანებით მიესალმება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხს. თქვენი სოლიდარობა ჩვენთან გვშველის იმ გმირულ ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებთ ფაშიზმის წინააღმდეგ და ესპანეთის ტერიტორიული განთავისუფლებისათვის.

ყრილობის თავმჯდომარე
ინოკენტი ბურგოსი".

ნავთი ზღვის ფსკერიდან

ბაქო, 10 აპრილი (საქდესი). არტემის კუნძულთან არსდება ზღვის ნავთის სარეწაო. ამ დღეებში ამუშავებული ჭაბურღილი დაახლოვებით ერთი კილომეტრით არის დაშორებული ნაპირს. იგი 150 ტონა ნავთს იძლევა დღე-ღამეში. ჭაბურღილს შეკუმშულ ჰაერს აწვდიან ნაპირიდან, ზღვის ფსკერზე გაყვანილი მილებით. ნავთი ნაპირზე გადმოდის მილებით, რომლებიც აგრეთვე გაყვანილია ზღვის ფსკერზე.

ეს მეოთხე ჭაბურღილია, რომლიდანაც ზღვის ფსკერიდან ამოაქვთ ნავთი. ოთხივე ჭაბურღილი დაახლოვებით 700 ტონა ნავთს იძლევა დღე-ღამეში, რაც შეადგენს დაახლოვებით „არტემნავთის" ტრესტის მთელი მოპოვების მესამედს.

უკანასკნელი კვლევა-ძიება იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ზღვის ნავთიანი ტერიტორია არ არის 750 ჰექტარზე ნაკლები. ამ ტერიტორიის მოსაკონტურებლად სამ საკვლევაძიებო ჭაბურღილს აკეთებენ. ერთ მათგანს — ჭაბურღილს № 42, აკეთებენ ღია ზღვაში, ნაპირიდან 2,5 კილომეტრის მანძილზე. ეს იქნება ნაპირიდან ყველაზე უფრო დაშორებული საზღვაო ჭაბურღილი საბჭოთა კავშირში.

ნაპირის ახლოს აკეთებენ რამდენიმე საექსპლოატაციო ჭაბურღილს.

4 წლის ვ. ი. ლენინის ქანდაკება ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზში № 1 (მოქანდაკე ტ. შჩელკანის ნამუშევარი).
ფოტო ვ. ოლეინიკისა („სოიუზფოტო")

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

პარტორგანოების არჩევნების წესის უხეში დარღვევანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საკითხი ქუთაისის საქალაქო პარტორგანიზაციაში პარტორგანოთა არჩევნების მსვლელობის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ქ. ქუთაისის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში პარტორგანოთა არჩევნების დროს დარღვეული იყო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წ. 20 მარტის დადგენილება „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ".

ლიტოპონმშენის, ინდუსტრიული მუშფაკისა და საქალაქო პროფსაბჭოს პარტორგანიზაციებში, შენობაში, სადაც დამთვლელი კომისია მუშაობდა, იმყოფებოდნენ ქალაქკომის წარმომადგენლები (ამხ. შ. ჩხაიძე, ბრეგვაძე), აგრეთვე სხვა გარეშე პირნი.

ინდუსტრიული მუშფაკის პარტორგანიზაციაში კომისიის წევრებს ხელი არ მოუწერიათ საარჩევნო ყუთის გახსნისა და ხმების დათვლის ოქმისათვის.

მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში (რიონჰესი, ადგილმრეწვის მექანიკური სახელოსნო, ქალაქის საბჭო, საქალაქო პროფსაბჭო და სხვ.), კრების შემდეგ რამდენიმედღის განმავლობაში კრების ოქმი არ ყოფილა გაფორმებული, ხოლო საქალაქო პროფსაბჭოს პირველადს პარტორგანიზაციაში დახურული (ფარული) კენჭისყრის მასალები (კანდიდატურათა სიები, კენჭისყრის დათვლა) არ აღმოჩნდა პირველადს პარტორგანიზაციაში.

პარტკომის სხდომაზე პარტკომის მდივნის არჩევნებისას ლიტოპონმშენისა და ინდუსტრიული მუშფაკის პარტორგანიზაციებში არ ყოფილა არჩეული დამთვლელი კომისია, ხოლო ხმების დათვლას აწარმოებდნენ ქალაქკომის წარმომადგენლები ამხ. ჩხაიძე და ბრეგვაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქუთაისის ქალაქკომს განიხილოს საქალაქო პროფსაბჭოს, ლიტოპონმშენისა და ინდუსტრიული მუშფაკის პირველადს პარტორგანიზაციებში მოხდენილი არჩევნების შედეგები, ხელახლა ჩაატაროს არჩევნები იქ, სადაც დაშვებული იყო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა დარღვევა, და დაადოს სასჯელი დამნაშავეებს (საქდესი).

◇

დადგენილება

სრულიად - საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

ამხ. ივანე პავლეს-ძე მაზრინის საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნოს ამხ. ივანე პავლეს-ძე მაზრინი.

სრულიად - საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი.

1937 წლ. აპრილის 11.
ქ. თბილისი.

◇ ◇ ◇

ხეხილის გაშენება

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

საგაზაფხულო გეგმით რესპუბლიკაში უნდა გაშენდეს 4023 ჰექტარი ხეხილის ბაღი, აქედან კოლმეურნეობებში—2981 ჰექტარი, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — 1042. საკოლმეურნეო — გლეხურ სექტორში გაშენებულია სულ 2.397 ჰექტ., აქედან კოლმეურნეობებში 1673 ჰექტ., კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე— 719 ჰექტ. ხეხილის გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულებული აქვთ შემდეგ რაიონებს:

ქუთაისს	410	ჰექ.	ნაცვლად	400	ჰექტარისა.
თბილისს	260,5	„	„	240	„
ყარაიას	296	„	„	45	„
ტყიბულის	190	„	„	75	„
ასპინძას	46	„	„	25	„
კასპის	120	„	„	70	„
ლაგოდეხის	220	„	„	65	„
ცაგერის	87	„	„	80	„
წულუკიძის	40	„	„	40	„
აფხაზ. ასსრ	128	„	„		„

ყველა ამ რაიონებში ხეხილის გაშენება გრძელდება. ხეხილის გაშენებაში ჩამორჩნენ: ვანის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, სიღნაღის, სამტრედიის, ჭიათურის, თელავის, გურჯაანის, აჭარის, გორის, საგარეჯოს, ხაშურის, ბაღდათის, ჩხარის, თიანეთის ბორჩალოს რაიონები და სამხრეთ - ოსეთის ავტ. ოლქი.

ხეხილის გაშენების დამთავრების ვადა 15 აპრილია. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სანერგეების გაშენება. გორის, გურჯაანის, თელავის რაიონებში ხეხილის გაშენებას ჯერაც არ შესდგომიან.

ალვკვეთოთ დამახინჯებანი პარტორგანოების არჩევნებში!

„ჩვენთან ყველაფერი რიგზეა"...

„საქმშენის" პარტიულმა ორგანიზაციამ 7 აპრილს მოისმინა პარტკომის მდივნის ა. მერაბიშვილის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება წარმოდგენილ იქნა წერილობითი სახით 12 გვერდზე.

რას წარმოადგენდა ეს მოხსენება? უმთავრესად ზოგადი საკითხების კრებულს, ამონაწერებს სხვადასხვა დოკუმენტებიდან საბჭო ქვეყნის მიღწევების შესახებ.

ხოლო მოხსენების ექვს გვერდზე ლაპარაკია კონკრეტულ ფაქტებზე... და აი როგორია ეს „კონკრეტული ფაქტები". „რაიკომის უშუალო კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტორგანიზაციამ მოიპოვა უდიდესი წარმატებები. პარტკომის ენერგიული მუშაობით პოლიტიკურ-სამეურნეო და სხვა ფრონტებზე უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ"... და სხვ.

შემდეგ იწყება სტატისტიკური მასალები. მომხსენებელი აღნიშნავს, ჩვენი ტრესტი აერთიანებს სხვა ტრესტსაც, — სახელდობრ „საქკომუნპროექტსო": ორივე ტრესტში თანამშრომელთა რიცხვი უდრის 260 კაცს, ყველა პარტიულს აქვს სათანადო დავალებები, უპარტიოებიდან მხოლოდ 50 პროცენტია ჩაბმული აქტიურ მუშაობაში, ყველანი ერთგულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენი ტრესტის ორგანიზაციაში არავითარ უთანხმოებას და კინკლაობას არა აქვს ადგილი, რადგან ყველა შეხმატკბილებულად ვმუშაობთ, ფართოდ გაშლილია თვითკრიტიკა და კრიტიკა, რევოლუციური სიფხიზლეც გავამახვილეთ და ა. შ.

ამრიგად, საანგარიშო მოხსენება პარტკომის მდივანმა „საგანგებოდ" ჩაატარა... ხუმრობა არ გეგონოთ, ერთ კვირას „ემზადებოდა" ამ მოხსენებისათვის და, როგორც ხედავთ, „სასახელოდ" შეასრულა კიდეც თავისი მისია. გაუკეთა რა ამ „საუცხოო" მოხსენებას „პოლიტიკური" დასკვნა, სწრაფად მოიწურა ოფლი და დაჯდა.

კამათში 14 კაცი გამოვიდა. მათ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პარტკომის მუშაობა. „საქმშენის" პარტკომის მუშაობა მოწყვეტილი იყო პარტიის ახალ ამოცანებს, — აღნიშნავდნენ მოკამათენი. პარტკომი კარჩაკეტილად მუშაობდა. პარტიული დემოკრატიის კანონებს უხეშად არღვევდა. პარტკომი და საერთო პარტიული კრების დღის წესრიგს კაბინეტში ადგენდა, ისე სწერდა „რეზოლუციებს" და ღონისძიებებს, რომ ზოგჯერ თვით პარტკომის წევრებსაც არ უთანხმებდა საკითხს.

კამათში გამოსული ამხანაგები აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ პარტკომის მდივანი მერაბიშვილი სრულიად არ იყო დაინტერესებული, როგორ ცხოვრობს პარტიის რიგითი წევრი, რა აწუხებს მას. თავისი მუშაობის პერიოდში მას ოდნავაც არ უზრუნია ამ საკითხზე, არც ერთი კომუნისტის თვითანგარიში არ მოუსმენია, არ გასცნობია თავისი ორგანიზაციის წევრებს, თუ როგორ ასრულებენ ისინი ავანგარდულ როლს წარმოებაში.

რატომ? ეკითხებიან მას. — გეგმაში არ მქონდა შეტანილიო, უპასუხებს. მართალია, გეგმაში შეიტანა პარტიის წევრ ბრეგვაძის და კანდიდატ ზერეკიძის თვითანგარიშის მოსმენა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ამხანაგები თვენახევრით მივლინებაში იყვნენ და არ მოხერხდა გეგმის შესრულება. იგი მათ ჩამოსვლას ელოდა. მაშ რა ექნა?!

— შეგეძლო თუ არა სხვა კომუნისტების თვითანგარიში მოგესმინა, რაღა მათ ელოდებოდი? — ეკითხებიან.

— სხვა ამხანაგების საანგარიშო მოხსენება?, — უკვირს პარტკომს, მერე გეგმაში რომ არ მქონდა შეტანილი, როგორ შემეძლო! პარტკომის მდივანი ცდილობდა ყოველაფერში დამნაშავედ სამუშაო გეგმა გამოეყვანა.

— პოლიტსკოლების მუშაობის სრულიად არადამაკმაყოფილებელია —ამბობდნენ მოკამათენი. პარტკომი აქაც თავს იმართლებდა — „ეგ მსმენელებისა და პროპაგანდისტის ბრალიაო". მაგრამ რა თქმა უნდა, კრებამ არ „შეიწყნარა" პარტკომის მიზეზები მკაცრად გააკრიტიკა ისინი და „საქმშენის" პარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ამასთანავე რიგითი კომუნისტების მიერ შემოტანილ იქნა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახლებურად გარდაქმნისა და გაჯანსაღებისათვის.

შემდეგ დაიწყო არჩევნები. კანდიდატურების წამოყენების შემდეგ არჩეულ იქნა ხმის დამთვლელთა კომისია სამი კაცის შემადგენლობით. კანდიდატურებს ფარულად უყარეს კენჭი და ღირსეულნი გაიყვანეს პარტიული კომიტეტის ახალ შემადგენლობაში. პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. კ. კ. ახალაძე.

ა. სტეფანიშვილი.

შეცდომა, რომელიც არ უნდა განმეორდეს

1937 წლის 30 მარტს საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომში მოწვეულ იქნა პარტკომის მდივნების, პარტორგების და რაიკომის პლენუმის წევრების გაფართოებული თათბირი. თათბირმა მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ბიუროს დადგენილება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებათა საფუძველზე პარტორგანიზაციებში ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების კალენდარული ვადების შესახებ.

4—5 მარტს ძაფსალები ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო პარტრაიკომის წარმომადგენელი ამხ. მ. ზარანდია, როგორც მიმაგრებული, და პარტრაიკომის მდივანი ამხ. ვ. კვირიკაძე. ამხ. ზარანდია არჩეულ იქნა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ. დამთვლელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პარტრაიკომის მდივანმა ამხ. კვირიკაძემ.

რაიკომის ბიურომ თავის 6 მარტის სხდომაზე შეაფასა ძაფსალები ქარხნის პარტორგანიზაციაში ჩატარებული არჩევნები და აღნიშნა, რომ არჩევნების დროს უხეშად დარღვეულია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითება, რის გამო მიღებულ იქნა დადგენილება არჩევნების ხელმეორედ ჩატარების შესახებ.

საარჩევნო კრება ხელმეორედ დაინიშნა 9 მარტისათვის. წაკითხულ და განხილულ იქნა რაიკომის ბიუროს დადგენილება ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომების შესახებ. ამხ. კვირიკაძემ პარტიულ კრებას გააცნო მის მიერ დაშვებული შეცდომა. კამათის დამთავრების შემდეგ პარტორგანიზაციის წევრებისაგან არჩეულ იქნა დამთვლელი კომისია და არჩევნები ჩატარდა არსებული წესის დაცვით.

დაშვებული შეცდომა გამოსწორდა.

გრ. ადამია

სადაც კრიტიკა და თვითკრიტიკა „ყვეობაშია"

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვისას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან პარტიული ხელმძღვანელი ამხანაგები, რომლებიც ვერ ეგუებიან ბოლშევიკურ კრიტიკას. ისინი კვლავ იმეორებენ დაძყაყებულ აზრს, თითქოს მიზანშეუწონელია აშკარად ვილაპარაკოთ საკუთარ შეცდომებზე. ისინი შეპყრობილი არიან ქედმაღლობის მავნე სენით.

აი რას გვწერს ზემო-სვანეთიდან პარტიის წევრი მ. მეგენეიშვილი: აქას წინათ ყოროლდაშის დარიშხანის წარმოების პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტგანათლების სკოლაში იხილავდნენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას და ამხ. ჟდანოვის მოხსენებას. ამ მეცადინეობას დაესწრო საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის ინსტრუქტორი (მ. ჩარქსელიანი). პროპაგანდისტმა მსმენელებს ამხ. ჟდანოვის მოხსენება რომ გააცნო, სცადა მის შესაბამისად მოეყვანა კონკრეტული მაგალითები ადგილობრივი პარტორგანიზაციის მუშაობიდან, და დაიწყო: „ჩვენთანაც ადგილი აქვს, ამხანაგებო, შინადემოკრატიის პრინციპის დარღვევას. აი, მაგალითად, გუშინდელ კრებაზე"....

— რაო!..—იწყინა ინსტრუქტორმა.—შენ რაიკომს ამუშავებ?.. რა უფლებით? მომეცით ჩქარა ფანქარი და ქაღალდი, ახლავე ოქმს შევუდგენ მაგ ინტრიგანს და რაიკომს ვაცნობებ ყველაფერს. ინსტრუქტორმა სწრაფად მოძებნა ქაღალდი და ფანქარი, შეუდგა ოქმის წერას. მსმენელებს ხმა ჩაუწყდათ, მხოლოდ ერთმა გაკვირვებით შენიშნა:

— ამხანაგებო! მაშ რაზე ლაპარაკობს თავის მოხსენებაში ამხ. ჟდანოვი, თუ არა ამგვარ ამბებზე!.. აი ერთი ფაქტიც...

— ჟდანოვის მოხსენება ჩვენს რაიონის პარტორგანიზაციას არ შეეხება. თქვენ წაგიკითხავთ და ვერ გაგიგიათ...—გაცხარდა ინსტრუქტორი. —ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. საჭირო არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა...—არ ცხრებოდა ის.

ასეთი აურზაურით დამთავრდა პარტიული წრის მეცადინეობა.

უმსგავსო ამბები აქ ჯერაც გრძელდება. შინაპარტიული დემოკრატიის კანონების უხეში დამახინჯების სხვა მრავალი ფაქტიც არის. მკაცრად შეზღუდულია პარტიის წევრთა კანონიერი უფლებანი. პარტკომის მდივანი მ. გერხიანი პირადი ინტერესებით მოქმედებს, ვისაც ჩააცივდება, სისხლს უშრობს უნდა—პარტიული ბილეთს ჩამოართმევს, უნდა—პარტსასჯელს მისცემს, ისე, რომ პარტიულ კრებას არაფერს შეეკითხება. ხშირად ისე გამოაქვს დადგენილებები, რომ პარტიის კრებამ ამაზე არა იცის რა. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტიის დახურულ კრებას თავმჯდომარეობს პარტიის წევრობის კანდიდატი. პარტიულთა თვითანგარიშები გადაქცეულია ოჯახური საქმეების ქექვად, აგებულია მეშჩანურ ამბებსა და ჭორებზე.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩახშობილია, რაიკომის ინსტრუქტორი და პარტკომის მდივანი შეთანხმებულად ებრძვიან „კრიტიკოსებს".

O

ასეთივე უმსგავსობაა თბილისის „რაიმრეწვკომბინატის" პარტორგანიზაციაში. ამხ. ი. ბუხაიძე და ცომაია გვწერენ,—რომ თბილისის „რაიმრეწვკომბინატის" პარტიული ორგანიზაცია უთავბოლოდ მუშაობს. პარტიული კრებები ყოველთვის მოუმზადებლად ტარდება, აღნიშნული პარტორგანიზაციის პარტორგს ი. ქანთარიას დღემდე ვერ შეუგნია უბრალო ანბანური ჭეშმარიტებაც კი, რომ, პარტიული კრებისათვის საჭიროა განცხადება 2-3 დღით ადრე გამოაკრას, დღის წესრიგს წინასწარ არ აცნობებ კომუნისტებს, რათა ისინი მომზადებული მოვიდნენ კრებაზე. აი მაგალითიც. 26 მარტს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი უნდა განეხილათ პარტიული კრებაზე, განცხადება კრების მოწვევის შესახებ იმ დღეს გააკრა. განცხადებაში არ აღნიშნა, რა საკითხი მუშავდებოდა, არ დაასახელა ადგილი,—სად უნდა შემდგარიყო კრება. როგორც მოსალოდნელი იყო, კრება არ შესდგა.

ეს პირველი შემთხვევა როდია. პარტორგი ქანთარია უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისადმი, ანგარიშს არ უწევს პარტიული მასების მოთხოვნას, აბუჩად იგდებს პარტიულ მუშაობის საკითხს. ერთი სიტყვით, მუშაობს ისე, როგორც მას ეხალისება.

სჩანს, მას ჯერ კიდევ ვერ გაუგია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ჯერ კიდევ უდარდელად სთვლემს, მუშაობის ნაცვლად თვითკმაყოფილების ოცნებაში ცურავს.

ეს ორი მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ზოგან ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ამხანაგები გვაძლევენ სიგნალებს, რომ ამ ორგანიზაციებში ფესვები გაუდგამს შინაურულობას, პარტიულ მუშაკებისადმი შიშველ ადმინისტრატიულ მიდგომას, თვითკრიტიკის ჩახშობას და მთელ რიგ უმსგავსობებს. საჭიროა აქედან სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ.

არჩევნების წესის უხეში დარღვევა

ქუთაისი, 11 აპრილი (საქდესი). ქუთაისის პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მსვლელობაში აშკარავდება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ უხეშად დაარღვიეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებანი პარტორგანოთა არჩევნების ორგანიზაციის შესახებ.

საზოგადოება „ბავშვთ მეგობრების" ქუთაისის განყოფილების პარტკომის არჩევნების დროს ხმების დამთვლელ კომისიაში აირჩიეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გველესიანი, რომელიც ამ ორგანიზაციაში არ ირიცხება.

ხმების დათვლას ქალაქის პროფსაბჭოს პარტორგის არჩევნების დროს დაესწრო პარტიის ქალაქკომის მდივანი ამხ. ჩხაიძე.

26 კომუნარის სახელობის ქარხნის საუკეთესო სტახანოველები ჩაებნენ ორჯონიკიძის სახელობის ლაშქრობაში და სასახელოდ ასრულებენ თავის დაპირებას. **სურათზე:** სახარატო საამქროს ერთერთი საუკეთესო სტახანოველი ამხ. შურა კოჩეტკოვა, ხარატი. იკისრა თვიური გეგმის 200 პროცენტით შესრულება; ასრულებს 205 პროცენტით. ფოტო ბუდიშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

პრესის მიმოხილვა

საგაზეთო კულტურა და უდარდელი რედაქტორები

„ახალი ხევი"—ყაზბეგი, „კოლმეურნე"—სიღნაღი

სწრაფად იზრდება საბჭოთა მკითხველის კულტურული დონე. „გაზრდილი მკითხველი დღეს კანონიერად მოითხოვს, რათა გაზეთი კეთდებოდეს კულტურულად, რათა საგაზეთო წერილი იყოს არა მარტო სწორი, არამედ ადვილად საკითხავიც" („პრავდა").

ბოლშევიკური პრესის მრავალმილიონიანი აუდიტორია მოითხოვს, რათა გაზეთის კულტურული დონე არ ჩამორჩებოდეს საბჭოთა მოწინავე მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის კულტურულ დონეს. გაზეთი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს, არ „იზრდება არა თუ დღეობით, არამედ საათობით"—ვერ შეასრულებს კოლექტიური აგიტატორის, კოლექტიური პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლს.

ბევრი ჩვენი რაიონული გაზეთი ვერ ამჩნევს, რომ იგი ჩამორჩა მასების კულტურული ზრდის ტემპსა და დონეს, რომ „მრავალი საგაზეთო გვერდის მასალების ხარისხი დღეს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მილიონიან მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს" („პრავდა"). საბჭოთა მკითხველის მახვილ თვალს არ გამოეპარება გაზეთის არა თუ პოლიტიკური შეცდომის, არამედ ენობრივი, კორექტურული, პოლიგრაფიული დეფექტის შემთხვევებიც.

მიუხედავად ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვებიან პრესის მუშაკები, რომლებიც ნაკლებად ფიქრობენ საბჭოთა მკითხველზე. უდარდელობის იდიოტური სენით შეპყრობილ ასეთ მუშაკებისათვის „გაუგებარია", მაგალითად, რომ ყოველმა კორექტურულმა შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს ტექსტის არა მარტო ორთოგრაფიულ-სტილისტური, არამედ **პოლიტიკური** დამახინჯებაც.

ყაზბეგის რაიონული გაზეთის **„ახალი ხევის"** რედაქტორის ამხ. დ. კობახიძის უდარდელობა ამ მხრივ პირდაპირ საარაკოა.

აიღეთ „ახალი ხევის" 1937 წლის იანვარ-მარტის კომპლექტი. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ნომერს, რომელიც აჭრელებული არ იყოს კორექტურული შეცდომებით. გაზეთის მე-7 ნომერში მოთავსებულია ვ. შადურის ვრცელი წერილი—„პუშკინი ყაზბეგში". მხოლოდ ამ წერილში დაშვებულია 83 შეცდომა!

გაზეთი ნომრიდან ნომერში სპეციალურ კუთხეს უთმობს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. თავისთავად ეს კარგი საქმეა. მაგრამ ამ კუთხეს ასეთი მუდმივი სათაური „ამშვენებს" — „შოთა რუსთაველის ლაშქრობის კუთხე". თუ რედაქტორმა ვერ მოიფიქრა ამ, ცოტა არ იყოს, ახირებული სათაურის შეცვლა, ნუ თუ რაიონის ვერც ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა ვერ მიუთითა მას ამაზე?

უდარდელობისა და მკითხველისადმი უპატივცემულობის ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე სიღნაღის რაიონული გაზეთის—„კოლმეურნის" მე-43 ნომრის მოწინავე წერილი.

ჯერ, წერილის სტილი...

„სამას წელიწადზე მეტს მეფობდა რომანოვების გვარი რუსეთზე. ბრწყინვალე სასახლის გაჩირაღდნებულ სვეტების შიგნით(!) შეყრილი (!) მეფის გვარის არამზადები თავიანთი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავდნენ. ბალ მასკარადების ქვეშ (!). ვალსისა და მაზურკის დამათრობელი ცეკვის ქვეშ (!) როცა შამპანური ცეცხლის ექსტაზში მესულ დამებისა და კავალერების შრიალა ტანისამოსზე (!) ილვრებოდა, რუსეთი, მისი კოლონიები და ყმა-მონები სიკვდილის უღელში კვნესოდნენ".

ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო ეს „მაღალფარდოვანი", მაღალი „შტილის" და „თავბრუდამხვევი" სიტყვების კორიანტელი?

მარტივად, გასაგებად, დამაჯერებლად წერა უნდა ვისწავლოთ მარქსიზმის კლასიკოსებისაგან.

„დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიური ფრაზები, გამიზნული შთაბეჭდილების მოსახდენად,—ყოველივე ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო" ორატორების სიტყვებისაგან" — ამბობს ამხანაგი სტალინი ლენინის სტილის შესახებ.

„კოლმეურნე" განაგრძობს:

„...თებერვლის ამ რევოლუციამ სამუდამოდ დაასამარა რუსეთში თვითმპყრობელობა.

მაშინ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა. დროებით მთავრობის სათავეში მოექცნენ მრეწველი კოვალოვი, ვაჭარი მუჩკოვი, პროფესორი მილიუკოვი, ქარხნის მეპატრონე ტერეშენკო და მსგავსი მათნი".

ამ სტრიქონების წამკითხავი მოწინავე სიღნაღელი კოლმეურნე, რომელიც პოლიტწრეში მეცადინეობს და სამოქალაქო ომის ისტორიას კითხულობს, „კოლმეურნის" რედაქტორს ეტყვის:

— არა, ამხ. რედაქტორო, დროებით მთავრობის სათავეში მოექცნენ: არა მრეწველი კოვალოვი არამედ მრეწველი კონოვალოვი, არა ვაჭარი მუჩკოვი, არამედ მრეწველი გუჩკოვი, არა ქარხნის მეპატრონე ტერეშენკო, არამედ ქარხნის მეპატრონე ტერეშჩენკო.

საბჭოთა მკითხველი ჩვენი პრესისაგან მოითხოვს მაღალ საგაზეთო კულტურას: ოპერატიულობას, ერუდიციას, სიზუსტეს, მკაფიო ენას, საგაზეთო გვერდების უნაკლო ტექნიკურ გაფორმებას.

დოყლაპიობა და უდარდელობა—კლასობრივ მტრის ინტერესებს ემსახურება.

სასტიკი ომი უდარდელობის იდიოტურ სენს—ასეთია საბჭოთა პრესის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა.

◆

დადგენილება

საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ წამოწყებებისა და ორგანიზაციების დასკვნითი ბალანსებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშების გამოქვეყნების წესის შესახებ

სახელმწიფო და კოოპერატიული სამეურნეო ორგანიზაციებისა და წამოწყებების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1936 წ. ივლისის 29 № 1372 გამოცემული დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 359), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ რესპუბლიკური ქვემდებარეობის ყველა წამოწყებას და ორგანიზაციას — არა უგვიანეს ორი დეკადის ვადისა ანგარიშების საბოლოო დამტკიცების დღიდან გამოაქვეყნონ თავიანთი 1936 წლის დასკვნითი ბალანსები და მოგების და ზარალის ანგარიშები გაზეთ „კომუნისტში".

2. განთავისუფლებულ იქნან 1936 წლის დასკვნითი ბალანსებისა და მოგებისა და ზარალის ანგრიშების გამოქვეყნებისაგან ის ძირეული კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები (რაიონული კოოპერატივები, რაიონული კოოპერატიული კავშირები, სასოფლო კოოპერატივები, არტელები, სარაიონო ქვემდებარეობის საბჭოთა მეურნეობები), რომლების წლიური ბრუნვაც არ აღემატება 100,0 ათას მან., ან რომლების 1936 წელს გამოშვებული პროდუქცია უცვლელი ფასების მიხედვით 70,0 ათას მან. ნაკლებია.

3. ის ძირეული კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები, რომლებიც, ამ დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, მოვალენი არიან გამოაქვეყნონ თავიანთი 1936 წლის დასკვნითი ბალანსები და მოგებისა და ზარალის ანგარიშები, აქვეყნებენ ამ ბალანსებს და ანგარიშებს პრესის ადგილობრივ ორგანოებში.

4. ქალაქ თბილისის და იმ რაიონების კოოპერატიული ორგანიზაციები და არტელები, სადაც პრესის ადგილობრივი ორგანოები არ არსებობს, — თავიანთ დასკვნითს ბალანსებს და მოგებისა და ზარალის ანგარიშებს აქვეყნებენ გაზეთ „კომუნისტში".

5. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. აღმასრ. ს. მებუკე.

1937 წ. აპრილის 7.
თბილისი.

ქულიკების ხროვა უნივერმაღში

საქართველოს სს რესპუბლიკის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის კომისიამ დაამთავრა თბილისის საკავშირო უნივერმაღის მუშაობის გამოკვლევა.

კომისიის მიერ გამოაშკარავებულმა ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ თბილისის უდიდეს სავაჭრო ორგანიზაციაში მტკიცედ მოეკალათებიათ ჟულიკებს, რომელნიც იტაცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას.

დიდი ბოროტმოქმედება გამოააშკარავა კომისიამ სტახანოველთა ეგრეთწოდებული მომსახურების ბიუროში. აქ თარეშობდნენ ბიუროს გამგე ტრეტიაკოვი, თანამშრომლები ჯერმაკიანი, ვარდოიანი, გარსოიანი და სხვ.

ძარცვავდნენ მომხმარებელს უნივერმაღის ფეხსაცმლის განყოფილებაშიც. იმის გამო, რომ არ იცოდნენ საქონლის მოვლა, დაწუნებული იყო თითქმის 12 ათასი მანეთის ფეხსაცმელი. მაგრამ ჟულიკებმა იპოვეს გამოსავალი.

განყოფილების გამგემ აიგუნოვმა დაწუნებული ფეხსაცმლის მთელი პარტია გადაგზავნა დახურულ ბაზარში, სადაც უნივერმაღის ფარდულში იგი გაყიდეს როგორც სრულფასოვანი.

სოციალისტური საკუთრების დამტაცებელ აფერისტებს და ჟულიკებს დახმარებას უწევდა უნივერმაღის კომერციული დირექტორი კარაპეტიანი; ისინი სარგებლობდნენ აგრეთვე დირექტორ გრონსკის დაუდევრობით და ამიტომ არხეინად გრძნობდნენ თავს.

გამფლანგველმა ქალმა ნადარეიშვილმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო „მცირედით". მას აღმოაჩნდა ოთხი ათასი მანეთის დანაკლისი. ნადარეიშვილის დამცველად გამოვიდა გრონსკი, იგი დასტოვეს უნივერმაღში და მისი „მცირე" გაფლანგვა ამჟამად 58 ათასი მანეთით განისაზღვრება.

უნივერმაღის სატრანსპორტო განყოფილების გამგე კულაკოვი ფულს აკეთებდა იმით, რომ უნივერმაღის საბარგო ავტომანქანებს „აქირავებდა" სხვადასხვა პირებს და ამ კომბინაციით კარგ ფულს იღებდა თავისთვის.

პირადი მოგების წყაროდ გაიხადა უნივერმაღის თანამშრომელთა სასადილო კომბინატორთა ჯგუფმა სასადილოს გამგის აზნაუროვის მეთაურობით. სასადილოს 15 თვის არსებობის მანძილზე ზარალი 300 ათას მანეთამდე აიყვანეს.

მიჰქონდა ყველას, ვისაც რამდენი შეეძლო. ამის შედეგად უნივერმაღში მარტო გაფლანგულმა თანხამ 1937 წლის პირველ იანვრისათვის 232 ათას მანეთს მიაღწია.

მთავარ როლს დატაცებასა და ფლანგვაში ასრულებდა უნივერმაღის კომერციული დირექტორი კარაპეტიანი. მას მუქთად მიჰქონდა მაღაზიიდან საქონელი, მონაწილეობდა ჭუჭყიან კომბინაციებში ისეთ ჟულიკებთან, როგორიც არიან ნადარეიშვილი, ჯერმაკიანი, ხელს აფარებდა მათს დანაშაულს.

პარტიული (ნახაპეტოვი) და პროფკავშირული ორგანიზაციის, აგრეთვე სავაჭრო ინსპექციის (ტანცოში) სათავეში იდგნენ პარტბილეთიანი ბედოვლათები; მათ ვერ შეამჩნიეს და ვერ გამოააშკარავეს უნივერმაღის კაბინეტებსა და დახლთან მოკალათებული ჟულიკების ხროვა, რომელიც იტაცებდა სოციალისტურ საკუთრებას.

თბილისის საკავშირო უნივერმაღის ჟულიკთა ხროვა პასუხისგებაშია მიცემული (საქდესი).

გ. მიხანაშვილი

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სას. სამ. განყოფილების გამგის მოადგილე

სარევიზიო კომისიები — მოწოდების სიმაღლეზე!

(ოთხი რაიონის მაგალითი)

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების გატარებაში უდიდეს მიღწევებთან ერთად საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა წესდების ცალკეული მუხლების დამახინჯებას. როგორც ვიცით, ეს დამახინჯებანი მთელი სიღრმითა და პირდაპირობით ამხილა და გააკრიტიკა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე.

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდება კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს ფრიად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ ბევრგან ამას ვერ გრძნობენ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სარევიზიო კომისიების მუშაობის შემოწმებამ გამოარკვია, რომ ყვარლის, ბაღდათის გორის და თბილისის რაიონებში სარევიზიო კომისიების უმრავლესობა ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ისინი არ ასრულებენ არტელის წესდების იმ მუხლს, რომლის მიხედვით კოლმეურნეობათა რევიზია წელიწადში ოთხჯერ მაინც უნდა ხდებოდეს.

ყვარლის რაიონის კუიბიშევისა და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობა „განთიადსა" და „შრომაში", გორის რაიონის სოფ. კერეს და სტალინისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში 1936 წელს სარევიზიო კომისიებმა რევიზია მხოლოდ ერთხელ მოახდინეს. ბაღდათის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლაში", ბაქრაძისა და მგალობლიშვილის სახელობის და თბილისის რაიონის მათიკაშვილის სახელობის კოლმეურნეობებში მთელი წლის განმავლობაში რევიზია ერთხელაც არ გაუკეთებიათ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ რევიზიის ხარისხი თითქმის ყველგან ძალიან დაბალია, რევიზიის დროს სარევიზიო კომისიები ბევრგან მხოლოდ სალაროს და საწყობის მდგომარეობის შემოწმებით კმაყოფილდებიან. რაც შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა არტელის სახსრების ხარჯვის წესი, ქონების ფრთხილად შენახვა, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა მოხდა, შრომადღეების სწორად დარიცხვა, წევრებთან ანგარიშების თავის დროზე გასწორება და სხვ.,— ეს საკითხები სარევიზიო კომისიების მუშაობიდან ან სრულიად გამოტოვებულია, ან მეორეხარისხოვან და სასხვათაშორისო საქმედ არის მიჩნეული.

ცხადია, სარევიზიო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სალაროს და საწყობის შემოსავალ-გასავლის სისწორით შემოწმებას, მაგრამ ამასთან ერთად მან უნდა იმუშაოს იმ საკითხების შემოწმებაზედაც, რომლებიც მას წესდების მიხედვით აქვს დაკისრებული.

ამხ. ლ. ბერია თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე, აღნიშნავდა რა კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების ცუდ მუშაობას, ამბობდა: „კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიების უმოქმედობა აიხსნება იმით, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანოები, რაიმიწგანები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები არ ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას და დახმარებას არ უწევენ მათ".

ამ მითითების შემდეგ თითქმის რვა თვე გადის, მაგრამ საქართველოს მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ხელმძღვანელნი ისევ გულგრილად ეკიდებიან კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეს, არ იწვევენ სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა და წევრთა თათბირებს და არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს.

ერთეულებს როდი წარმოადგენენ კოლმეურნეობათა ისეთი სარევიზიო კომისიები, რომლებმაც არ იციან თავისი უფლება-მოვალეობა, საფუძვლიანად არ იცნობენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების იმ მუხლსაც კი, რომელიც მათ მუშაობასა და ამოცანებს განსაზღვრავს. საქართველოს თითქმის არცერთ რაიონში არ არის შემოღებული მოკლევადიან კურსებზე სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა გადამზადება, რაც დიდად დაეხმარებოდა და ხელს შეუწყობდა მათი მუშაობის გამოცოცხლებას.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიები თვითონ არღვევდნენ საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპებს, თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს არ აბარებდნენ საერთო კრებებს. მაგალითად, გორის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის 1936 წლის წლიური ანგარიშის ყდაზე სწერია, თითქოს იგი განიხილეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე 1937 წლის 14 თებერვალს. სინამდვილეში კი წლიური ანგარიში კრებას არ განუხილავს და არც დაუმტკიცებია. ხოლო სარევიზიო კომისიამ ეს ვერ შეამჩნია. არის შემთხვევები, როცა სარევიზიო კომისიის წევრები არათუ არ ააშკარავებენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა ბოროტმოქმედებას, არამედ თვითონ მონაწილეობენ საკოლმეურნეო ქონების განიავებაში.

გორის რაიონის სოფ. ზერტის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფუხაშვილმა და მოანგარიშე მცურავაშვილმა ყალბი მოწმობა მისცეს ი. ხუტიაშვილს. ხუტიაშვილმა ამისათვის მათ ქეიფი გაუმართა. ქეიფში მონაწილეობას იღებდნენ ამავე კოლმეურნეობის საწყობის გამგე გენო ქარსიძე და სარევიზიო კომისიის წევრები შაქრო ქიტუაშვილი და არჩილ ინაური. ქეიფში შეჭმული ქათმების ღირებულება კოლმეურნეობის გასავალში გაატარეს, თითქოს ეს ხარჯი ტრაქტორისტებისათვის გასწიეს. მსგავსი ფაქტები სხვა კოლმეურნეობებშიაც არის.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ არ ახდენენ სარევიზიო კომისიის შემადგენლობის გულდასმით შერჩევას. სათანადოდ არ აფასებენ სარევიზიო კომისიების როლს, ამიტომ ცულლუტები და გაიძვერები აქა-იქ ადვილად ახერხებენ სარევიზიო კომისიებში შეპარვას. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების შემადგენლობა რაიაღმასკომის პრეზიდიუმებზე უნდა მტკიცდებოდეს, მაგრამ ბევრგან არც ეს წესი არის დაცული. მაგალითად, ყვარლის რაიაღმასკომის პრეზიდიუმს 1936 წელს არ დაუმტკიცებია ლენინისა და კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობათა და კოლმეურნეობა „განთიადის" სარევიზიო კომისიების შემადგენლობა. რაიაღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დაუმტკიცებელი იყო აგრეთვე გორის რაიონის სტალინისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეობა „სოციალიზმის გზისა" და „წითელი სხივის" სარევიზიო კომისიები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეეხება არა მარტო დასახელებულ რაიონებს, არამედ ისინი დამახასიათებელია საქართველოს სხვა რაიონებისთვისაც. მეტნაკლებად მსგავს მოვლენებს შევხვდებით აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებშიაც. ამიტომ სარევიზიო კომისიების მუშაობის გარდაქმნას ყველამ უნდა მოჰკიდოს ხელი.

საჭიროა შემოწმდეს თვითეული კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის მუშაობა, სარევიზიო კომისიების შემადგენლობა (იქ, სადაც არ არის დამტკიცებული) უნდა დამტკიცდეს რაიაღმასკომის პრეზიდიუმზე და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-25 მუხლის ზუსტად გატარებას. რაიმიწგანები და მტს-ები სისტემატურად უნდა იწვევდნენ სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირებს, სადაც განხილული იქნება კვარტალურ რევიზიასთან დაკავშირებული საკითხები და შემუშავდება ღონისძიებანი საერთო ხასიათის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სარევიზიო კომისიების ვალია იმგვარად დააყენონ საქმე, რომ მტერს არავითარი საშუალება არ ჰქონდეს ზიანი მიაყენოს კოლმეურნეობას. სარევიზიო კომისიებმა თავიანთ მუშაობაში უნდა ჩააბან მთელი საკოლმეურნეო აქტივი. ისინი ვალდებული არიან სისტემატურად ჩააბარონ ანგარიში ამომრჩევლებს და რევიზიის შედეგები დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

უახლოეს ხანში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სარევიზიო კომისიის ყოველი წევრი იცნობდეს თავის უფლება-მოვალეობას და დაუფლებული იყოს საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკას. ამისათვის საჭიროა სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა გადასამზადებლად მოეწყოს მოკლევადიანი (5—10 დღიანი) კურსები, ხოლო რაიმიწგანების გამგეები და მტს-ების დირექტორები მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ადგილებთან.

სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის ფხიზელი თვალია, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები და მიწგანები ოპერატიულად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან სარევიზიო კომისიებს, დროზე ღებულობენ ზომებს კოლმეურნეობების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, კლასობრივი მტრები ვეღარ ახერხებენ ზიანი მიაყენონ საკოლმეურნეო მშენებლობას.

რასაკვირველია ჯერ კიდევ მოიპოვებიან კლასობრივი მტრის ნაშთები, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდის—ფაშისტ-დივერსანტთა, მკვლელთა, კონტრრევოლუციონერთა, მენშევიკთა და სხვათა უბადრუკი ნაშთები, რომელნიც აგენტები არიან სისხლიანი ფაშიზმის და ცდილობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის ძირის გამოთხრას. „პარტიული ორგანიზაციებისაგან, თვითეული კომუნისტისაგან ეს მოითხოვს კიდევ უფრო გააძლიერონ სტალინური სიფხიზლე, კიდევ უფრო დაუნდობელნი იყვნენ მტრების მიმართ" (ლ. ბერია).

კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს, თუ ისინი ენერგიულად იმუშავებენ და განუხრელად გაატარებენ ცხოვრებაში სას.-სამ. არტელის წესდებას, დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ პარტიასა და ხელისუფლებას კლასობრივი მტრების გამომჟღავნებაში, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობებს ორგანიზაციულად მეურნეობრივად და პოლიტიკურად.

◆

კომუნისტი

მასწავლებელთა ატესტაციის წინასწარი შედეგები

მასწავლებელთა საატესტაციო კომისიების მუშაობას უკანასკნელ ხანებში ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მასწავლებელთა პირველი რიგის ატესტაცია უკვე დამთავრებულია.

განსახკომის დადგენილებით, პირველი რიგის ატესტაცია უნდა გაიარონ არაპედაგოგიური განათლების მქონე, სათანადო ცენზის არმქონე და ისეთმა მასწავლებლებმა, რომელთა მუშაობაც განათლების განყოფილებას არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებოდათ ატესტაციის დაწყებამდე გაეწიათ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, ყველა სკოლის მასწავლებელთათვის გაეცნოთ ატესტაციის შესახებ გამოსული დადგენილებანი, ინსტრუქციები და მითითებანი, დაემზადებინათ მასწავლებელთა პირადი საქმეები, შეედგინათ ატესტაციაში გასატარებელ მასწავლებელთა სიები და სხვ.

როგორც განსახკომის მასალებიდან ირკვევა, ტყიბულის რაიონმა (განათლების განყოფილების გამგე ამხ. ირ. ქარქაშაძე) წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა რიგიანად არ ჩაატარა, მასწავლებელთა პირად საქმეებს საჭირო საბუთები აკლდათ, ზოგიერთ მასწავლებელზე კი პირადი საქმე სულ არ შეუდგენიათ. არცერთ მასწავლებელს არ ჰქონდა შრომის სია შედგენილი, პირადი საქმეები უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი.

ამ რაიონში 69 მასწავლებელმა გაიარა პირველი რიგის ატესტაცია. დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სახელწოდება მიენიჭა 29 კაცს, მათგან 12 კაცი დატოვებულია არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებად იმ პირობით, თუ ისინი განსაზღვრული დროის განმავლობაში ჩააბარებენ გამოცდებს სამასწავლებლო ინსტიტუტის პროგრამებით. 25 კაცი დატოვებულია დაწყებითი სკოლის მასწავლებლებად იმ პირობით, რომ ჩააბარებენ გამოცდებს პედაგოგიური სასწავლებლის სრული კურსით, ან პედაგოგიურ მინიმუმს.

შედარებით კარგად მოემზადა ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. დიმ. დუდუჩავა). აქ რაიონი დაყოფილია ოთხ საატესტაციო უბნად. მასწავლებლობას გარკვეული აქვს ატესტაციის დანიშნულება, მიზნები და ამოცანები.

ამ რაიონში, მართალია, მასწავლებელთა ცოდნის დონე არც ისე დაბალია, მაგრამ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. აქ შეხვდებით ისეთ მასწავლებლებს, რომლებსაც არა აქვთ ცოდნა პედაგოგიკაში, არ სარგებლობენ მეთოდური ლიტერატურით, არ იცნობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებებს სკოლის მუშაობის შესახებ, არ კითხულობენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, არ იცნობენ საკავშირო კომკავშირის მე-10 ყრილობის დადგენილებებს.

გამოირკვა, რომ რაიონის მასწავლებელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს წაკითხული ლენინის სიტყვა, წარმოთქმული კომკავშირის მე-3 ყრილობაზე. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაზე პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ.

ზოგიერთ მასწავლებელს სკოლაში მიღებული განათლება საკმაოდ მიუჩნევია, თვითკმაყოფილებას ეძლევა და არ ზრუნავს თავისი ზოგადი და პედაგოგიური ცოდნის ყოველდღიურად გაღრმავებაზე, არ კითხულობს წიგნებს (ჟურნალ-გაზეთებსაც კი!). მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებელი პროცენტის გამოანგარიშებასაც ვერ ახერხებს, არ იცნობს ამოცანის გადაწყვეტის მეთოდებსა და ხერხებს. ამიტომ ხშირად არც კი სურთ „შეეჭიდონ“ ძნელად ამოსახსნელ ამოცანებს. ასეთები არიან: მ. კალანდაძე (სოფ. ზვარეს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი), გ. ჭიპაშვილი (ბაზალეთი), ბ. კალანდაძე (სარგვეში), დ. შალამბერიძე (ხევი) და სხვ.

არც ისტორიის მასწავლებლები შეადგენენ გამონაკლისს. ბევრი მათგანი არ იცნობს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ, ვერ ერკვევა პოკროვსკის შეცდომებში. მასწავლებელი დაუსწრებელი პედინსტიტუტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე სწავლობს, ხოლო სკოლაში გეოგრაფიას ან სხვა საგანს ასწავლის.

როგორც დაუშვებელი მოვლენა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა საკმაოდ მოზრდილი ნაწილი მეტისმეტად არის დატვირთული სკოლისგარეშე დავალებებით. თვითგანვითარებისათვის მათ დრო არ რჩებათ, თავიანთი მომზადების დონეს ვერ იმაღლებენ. ამიტომ მათი სასკოლო მუშაობაც ფერხდება, ნაკლებ ნაყოფიერია, უხარისხოა. მაგ., ვ. ბარბაქაძე არის სოკ. ლაშის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, პროპაგანდისტი, პიონერრაზმის ხელმძღვანელი, მცირემცოდნეთა სკოლის მასწავლებელი, სასოფლო საბჭოს კულტსექციის ხელმძღვანელი. მასწავლებელი დ. დევდარიანი ერთსადაიმავე დროს სასოფლო სასამართლოს თავმჯდომარეა, სოფლის კოოპერატივის სარევიზიო კომისიისა და სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრია, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიისა და მასწავლებელთა კავშირის ადგილკომის თავმჯდომარეა, სასოფლო საბჭოს კულტსექციის ხელმძღვანელია.

მასწავლებელთა ასეთი გადატვირთვის მაგალითები სხვა რაიონებშიც ბევრია. რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ მასწავლებელს აქვს უდიდესი დავალება—ახალი თაობის ლენინური აღზრდა. თუ ასე გაგრძელდა მასწავლებელთა არაპირდაპირი დავალებებით დატვირთვა, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს მომავალი თაობის აღზრდის ერთობ პასუხსაგები ამოცანის სწორად გადაწყვეტაზე.

ეს გარემოება განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებზე. მთავრობის დადგენილებით, თვეში მათ უნდა ჰქონდეთ ყოველგვარი სხვა დავალებისაგან თავისუფალი 12 საღამო. მაგრამ ამას, როგორც წესი, არცერთ რაიონში არ იცავენ.

საატესტაციო კომისიები ბევრ მასწავლებელს განსაზღვრულ ვადას აძლევენ, რომ ჩააბარონ ამა თუ იმ პედაგოგიური სასწავლებლის სრული კურსი, მაგრამ განსახკომიც, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების და დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტებიც ნაკლებ ზრუნავენ ასეთ მასწავლებელთა დახმარებისათვის. მასწავლებელთა ატესტაცია იმას როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ მიანიჭო ან არ მიანიჭო მასწავლებელს სახელწოდება, მისცე მითითება და ამით შენი მოვალეობა შესრულებულად ჩასთვალო. საჭიროა იმ მასწავლებლებს, რომელთაც საკმაო სტაჟი და გამოცდილება აქვთ, კარგად იბრძვიან სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საკმაო ცენზი არა აქვთ,—ხელი შეუწყონ, დაეხმარონ. ატესტაციის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. განათლების კომისარიატს ასეთ მასწავლებელთა დასახმარებლად აქედანვე მართებს ამომწურავ კონკრეტულ ღონისძიებათა გატარება.

შ. ჯიქია

თელავის რაიონში ვაზის სტახანოველებმა უკან მოიტოვეს ნამყენის გახარების ნორმები. სოფ. წინანდლის რუისპირის, შალაურის, ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში ცალკეულმა სტახანოველებმა პირველი ხარისხის ვაზის ნამყენი 78 პროცენტიდან 86,8 პროცენტამდე მიიღეს. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ)—პირველ რიგში: მარტია ძამუკაშვილი, ვანო დათუკიშვილი, არჩილ ძამუკაშვილი, ლადო ლოქაფიშვილი, (მეორე რიგში) ნასყიდა ვართანაშვილი, ნიკო გველესიანი, შაქრო მეგრელიშვილი, ფირუზა გოცირიძე.

მიწგანის უდარდელობა

(ლაგოდეხი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან).

„შარშანდელთან შედარებით წელს ცუდი მაჩვენებლები არცერთ დარგში არა გვაქვს. ბევრგან გეგმა გადაჭარბებითაც არის შესრულებული, მაგრამ აღრიცხული არ არის. საერთოდ კი დარწმუნებული ვართ, წელს ყველა ვალდებულებას წარმატებით „შევასრულებთ“, — ასეთია მიწგანის გამგის ამხ. გ. გოზალიშვილის განცხადება.

— მაინც რა ვალდებულებას ითვალისწინებს გეგმა, რა რაოდენობით უნდა დაითესოს თქვენთან სიმინდი, კარტოფილი, მზესუმზირა, ჭარხალი, ბოსტნეული და სხვა კულტურები, როგორია შესრულების რაოდენობა და ხარისხი?

ამხ. გოზალიშვილი ენერგიულად სინჯავს მაგიდის უჯრებს, ქაღალდების გროვას, მაგრამ პასუხის მოცემას დიდხანს ვერ ახერხებს. ირკვევა, რომ მან ზუსტად არც კი იცის საგაზაფხულო თესვის გეგმები, სამუშაოთა ვადები, მოუგვარებელი აქვს აღრიცხვა, ადგილების კონტროლი, არ იცნობს ხვნა-თესვის მიმდინარეობას არა თუ თვითეულ კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობაში, არამედ სოფლის საბჭოშიაც კი, არ იღებს გადამჭრელ ზომებს ჩამორჩენათა დაჩქარებით გამოსასწორებლად.

ამის შედეგად, ნაცვლად 20 მარტისა, აქ დღესაც მოუხნავია კოლმეურნეობებში 1.000 ჰექტარამდე, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე—700 და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 650. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის თესვის რაიონული გეგმა კოლმეურნეობებში 37,5 პროცენტითაა შესრულებული, ულიანოვკის სოფლის საბჭოში (თავმჯდომარე ს. გუტკოვი), სადაც 4 კოლმეურნეობაა, აქამდე მხოლოდ 9,5 ჰექტარი დათესეს (გეგმის 6 პროცენტი), ცოდნისკარისში (თავმჯდომარე ა. ხელაშვილი)—9 ჰექტარი (8 პროცენტი), ჩამორჩენილია ბევრი სხვაც.

მიწგანს ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ ლობიოს თესვა ჯერ არც კი დაუწყია ყარსუბნის, ბაისუბნის, ორჯონიკიძის, აფენის, არეშფერანისა და ლელიანის სასოფლო საბჭოებში შემავალ 30-მდე კოლმეურნეობას (გეგმა 37 ჰექტარი), ხოლო ლაგოდეხის, ვარდისუბნისა და ფონის სოფლის საბჭოს კოლმეურნეობებში დაუთესავია 10 ჰექტარზე მეტი.

დიდი ჩამორჩენაა ბოსტნეულის თესვაშიაც.

შეიძლება მიწგანმა საქონლის საკვები ჭარხლის, იონჯის და სამყურის თესვას მაინც მიაქცია ყურადღება? (ბალახების თესვის ვადა 1 აპრილი იყო, ჭარხლისა კი 10 აპრილი). ირკვევა, რომ აქ იონჯა ჯერ კიდევ დაუთესავია 73 ჰექტარზე, სამყურა—145-ზე, ჭარხალი—20-ზე, დამახასიათებელია, რომ მიწგანის, მტს-ის, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა დაუდევრობით თელავის მეთესლეობის ბაზის წნორის პუნქტიდან 10 აპრილამდე იონჯის თესლი არც კი წაუღია ლაგოდეხის რაიონის 2[illegible] კოლმეურნეობას (სულ 85 ჰექტარისათვის), სამყურასი—24-ს, ჭარხლისა—17-ს (წაღება შეეძლოთ იანვარშიაც, ხოლო უკანასკნელი ვადა 25 მარტი იყო). მიუხედავად იმისა, რომ ლაგოდეხის რაიონში ამჟამად 60 ავტომანქანაა, მიწგანს 8 აპრილამდე თესლი რკინიგზის სადგურიდან რაიონის ცენტრშიაც არ მიუტანია.

მიწგანს თითქმის არაფერი გაუკეთებია ფეტვის თესლის მომარაგების საქმეშიაც.

— ახლა თბილისში დეპეშა გავგზავნე, კოლმეურნეობებს კი დავავალე მეზობელ რაიონებში ეძებონ თესლიო,—აცხადებს ამხ. გოზალიშვილი.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა შვრიის თესვაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოს დამთავრების ვადა 20 მარტი იყო, 10 აპრილისათვის 40 ჰექტარიდან მხოლოდ 22,5 ჰექტარი დათესეს, დანარჩენისათვის კი არც თესლი აქვთ, არც რაიმე ზომებია მიღებული.

რით, რა საშუალებით ცდილობს მიწგანი ამ უმსგავსოებათა გამოსწორებას?—ის ხელოვნურად უმცირებს კოლმეურნეობებს მიცემულ დავალებას. მოვიყვანთ ერთერთ ფაქტს. კალინინის სახელობის კოლმეურნეობას მიწგანმა მისცა შემდეგი შემცირებული გეგმა: ბახჩა 2 ჰექტარი, ნაცვლად 3-სა, ერთწლიანი ბალახი 5 ჰექტარი, ნაცვლად 10-სა, იონჯა 4 ჰექტარი, ნაცვლად 8-სა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიწგანისა და მთელი რიგი სასოფლო საბჭოების დანაშაულებრივი უმოქმედობა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ხვნა-თესვის დავალებათა შესრულებაში. გარდა იმისა, რომ აქ საგაზაფხულო ხვნა სამარცხვინოდ ჩამორჩა, შეუსრულებელია თითქმის ყველა სხვა გადაუდებელი სამუშაო. კარტოფილი ცოდნის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეთა საკარმიდამო ფართობებზე დაუთესავია 1 ჰექტარზე (დამთავრების ვადა იყო 31 მარტი), ლაგოდეხისაში—11,5-ზე, ბუდიონოვკაში—3-ზე, ვარდისუბანში—1,8 ჰექტარზე. ბახჩეულთა თესვის გეგმაც შესრულებულია მხოლოდ 9 პროცენტით, ლობიოსი—6,9-ით, სიმინდისა—47-ით, ბოსტნეულისა—71 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ დიდიხანია ამოიწურა მზესუმზირას თესვის ვადაც, რაიონის 14 სასოფლო საბჭოდან 6-ში ერთპიროვნულ მეურნეობებს თესვა სრულიად არ დაუწყიათ, 4 სასოფლო საბჭოში არ დაუწყიათ ბახჩეულისა და ბოსტნეულის თესვა, ორს—სიმინდის თესვა და ერთსაც (ულიანოვკა) კარტოფილისა.

როგორია სამუშაოთა შესრულების ხარისხი?—ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. შედრინი) შემოდგომის ხნული 2,5 ჰექტარი არ გადახნეს, ზედმარტო ფარცხი გადაატარეს და მზესუმზირა დასთესეს. ასევე მოიქცნენ ყარსუბნის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელ სხივშიაც“ (თავმჯდომარე თ. კურტანიძე)—დაუმუშავებლად დასთესეს მზესუმზირა 1,5 ჰექტარზე.

კოლმეურნეობა „ცოდნაში“ (გ. შიხაშვილი), სადაც ფიგა დაუთესავია 2 ჰექტარზე, ფეტვი—7-ზე, სამყურა—3-ზე, საკვები ჭარხალი ერთ ჰექტარზე, ხოლო პურის ყანას ზოგჯერ პირუტყვი სძოვს, მიწგანს არ მიუცია მითითება ჭარხლის თესვის წესებზე, კოლმეურნეობას მინდვრებში არ დაუწვავს თამბაქოს ღეროები, ნათესებში გამოუყენებელი აქვს ნაცარი, ხშირად გაუნაყოფიერებელი და დაუფარცხავია ნაკვეთები, თუმცა ჯეჯილი ზოგან ყვითელი და განუვითარებელია. აქვე ამხ. ლ. ბერიას სახელობის ნაკვეთებში, სადაც, პირობის თანახმად, თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი პური უნდა მიიღონ, ხშირია მომცდარი ადგილები, ბარდი და ეკალიც.

მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიაც ნაკვეთების დამუშავება არ ხდება აგრონომის მეთვალყურეობით. ნათესებს აპატივებენ და ფარცხავენ არა მოთხოვნილებისა და აუცილებლობის მიხედვით, არამედ მხოლოდ გეგმის შესრულების მიზნით. ერთი სიტყვით, არ არის დიფერენციული მიდგომა, სუსტია ბრძოლა მაღალი მოსავლისათვის. დაფარცხვა და გაპატივება არ ხდება იმდენჯერ, რამდენჯერაც თვითეული ზოლი თუ ნაკვეთი მოითხოვს, არამედ—განურჩევლად და ისიც იშვიათად. ყველა საშუალება გამოყენებული არ არის.

მიწგანი კი თვითდინებით „მუშაობს“.

გრიგოლ ცეცხლაძე

ორდენოსანი

დასვენების დღეა. ბაღებს
ლიმონის და ფორთოხლის
მზე დაჰნათის, მზე ალაღებს
და ამეფებს ყველგან ხალისს

ახალგაზრდა ვაჟი მოდის,
მოიმღერის გრძნობით მთვრალი, —
აივნიდან გურულ ოდის,
გააყოლა ქალმა თვალი.

გადახწყვეტა,
ითამამა,
ვაჟს გასძახის:
— „საით, ალი!“
თუმც შეაკრთო თვისვე ხმამა,
ტანწერწეტა, კოხტა ქალი.

ვაჟი ღობეს მოადგება,
ვაჟი შეიღება ელვით,
ქალს სალამი მიაგება
ჭაბუკური გრძნობის ღელვით.

ქალიც შეხვდა გულით ღია,
მიანათა სახე მწველი:
— „შენ ორდენი მიგიღია,
მომილოცავს, მომეც ხელი!..“

ამ დროს ისმის შეძახება:
— „ალი, ალი ჩამოსულა!..“
შემოერტყა ირგვლივ კრება,
შესცქერიან მეგობრულად.

ნორჩ თაობის გული ჩქარობს,
არის დიდი ღრიანცელი,
თითქოს მათთან ერთად ხარობს
თვით ნარინჯის ტურფა ველიც...

— „აბა, ალი! ახლა გვითხარ,
ახალ ამბებს ველოდებით,
სტალინთანაც კი ყოფილხარ,
ჩვენ გავიგეთ გაზეთებით!..

ღირსი ხუავ და ორდენიც
მიგიღია. — გვიხარია!..
— „ეს ორდენი არის თქვენიც,
იგი თქვენი ზიარია!

მე სტალინი ვნახე დიდი,
მეგობრებო, მხოლოდ თქვენით...
და რა გრძნობებს განვიცდიდი
როგორ აგიწეროთ ენით?

ბედი მერგო — დიდ ბელადთან
პირისპირაც გეახელით,
საუბარიც გამიმართა,
მხარზედაც კი დამკრა ხელი.

ვით უბრალო კაცი ერთი,
ჩვენთან იჯდა და ლაღობდა,
გაიხსენა ბაილეთი,
მეხუზლაც კი მოაგონდა...

ვინც მტარვალთა რისხვა არი,
ვინც ჩაგრული ათამამა,
დავსტკბით მასთან საუბარით, —
შევხაროდით როგორც მამას!“

სით არხევს ოქროს ბაღებს,
უხვად მფანტავს ყველგან ხალისს,
ყველა ხარობს, ყველა აქებს
ორდენოსან ჭაბუკ ალის.

◆

წერილი რედაქციას

„ძველი თბილისი“

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

„კომუნისტის“ 1936 წლის 30 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ამხ. არ. გაბუნიას წერილი სათაურით: „ძველი თბილისის უცნობი სურათი“. იქვე დაბეჭდილია ფოტოგრავიურა წარწერით: „როსტომის დროინდელი ძველი თბილისი. მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი“.

როგორც ავტორი ამბობს, ეს გრავიურა მოთავსებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჰილდბურჰაუზენის ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნში: „მსოფლიოს ხუთი ნაწილი მხატვრულ, გეოგრაფიულ და ისტორიულ გადმოცემებში“.

ამ ნაშრომში, სხვათა შორის, მოთავსებულია ცოტა რამ საქართველოზე და ქალაქ თბილისზეც. ამხ. გაბუნიას აზრით, ცნობები საქართველოს შესახებ, რაც ამ წიგნშია მოთავსებული, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ მხრივ სრულიად ვეთანხმებით მას. მაგრამ სამწუხაროდ ამხ. გაბუნია მეტად გაზვიადებულ მნიშვნელობა აძლევს ამავე წიგნში მოთავსებულ თბილისის სურათს. იგი თვითონ სცნობს, რომ სურათი არ შეეფერება მე-19 საუკუნის ნამდვილ თბილისს, მას ჰგონია, რომ ეს არის ნამდვილი სურათი უფრო ძველი დროის—მე-17 საუკუნის თბილისისა.

აშკარაა, ამხ. გაბუნიამ ვერ შეამჩნია ამ სურათის დიდი შეუსაბამობა ისტორიულ სინამდვილესთან. თბილისის საერთო ტერიტორიული სქემა გრავიურაში სრულიად ფანტასტიურია, თბილისის არც ერთი უბანი არ იცნობა ამ სურათით, ქალას თავისებური არქიტექტურა გადასხვაფერებულია და სხვ.

სურათს არა აქვს არავითარი დოკუმენტალური მნიშვნელობა. ეს არის შემთხვევითი კომპოზიცია, ნაწილობრივ გადმოღებული მხატვრის მიერ ტურნეფორისა და შარდენის ცნობილი გრავიურებიდან.

იგი შესრულებულია გამომცემელის შეკვეთით, როგორც მხოლოდ დაახლოვებითი ილუსტრაცია მე-19 საუკუნის შუა წლების თბილისისა, რომლის შესახებ გამომცემელს და მხატვარს მეტად მცირე ცნობები ჰქონდათ.

რაც შეეხება იმ აზრს, თითქოს ეს სურათი წარმოადგენს მე-17 საუკუნის თბილისს, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სურათზე გამოსახულია ნიკოლოზ I რეგულარული ცხენოსანი ჯარის ნაწილი თავისი ტიპიური სამკაულით (თეთრი რეიტუზებით, კივერებით და სხვა), ხოლო ციხე-ქალაქის მაღალ კოშკზე ფრიალებს ბაირაღი, როგორც სიმბოლო საქართველოსა და მისი დედაქალაქის თბილისის დაპყრობისა რუსის მეფეთა მიერ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. გაბუნიასთან ერთად ბევრი ჩვენგანი მოწადინებულია დედაქალაქის ნამდვილი ისტორიული სურათის აღდგენას, მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიური მასალის დაგროვებით, მეცნიერული კვლევა-ძიებით და ყველა წყაროს ბეჯითი, დაუღალავი შესწავლით.

ნ. ბადრიაშვილი

თბილისის კომუნალური მუზეუმის
დირექტორი.

ქ. ორაგველიძე

რიკარდო ქართულად

(„პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“, 1937 წ., სახ. უნივერსიტეტის გამოცემა)

მარქსის მოძღვრება არ ატარებს „სექტანტურ“ ხასიათს. ლენინის თქმით, მარქსის მოძღვრება „კანონიერი მემკვიდრეა იმ საუკეთესოსი, რომელიც შექმნა კაცობრიობამ მე-19 საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის და საფრანგეთის სოციალიზმის სახით“. მარქსი კრიტიკულად დამძლევი, განმგრძობი და გენიალური დამსრულებელია ამ სამივე იდეური მიმართულებისა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია პროდუქტი იყო ინგლისის, — ამ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის, განვითარებისა. ლენინის აზრით, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მარქსიზმის ერთერთი წყაროთაგანია. აქედან ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას.

რიკარდო უკანასკნელი საუკეთესო წარმომადგენელია ინგლისის კლასიკური ეკონომიისა. რიკარდოთი დაასრულა ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა მეცნიერებამ თავისი აღმავლობითი გზა და მის შემდეგ საბოლოოდ შესდგა ფეხი დაცემისა და გახრწნის გზაზე.

კლასიკური ეკონომიის გამოჩენილი წარმომადგენლები (სმიტი, რიკარდო) მოღვაწეობდნენ იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია წარმოადგენდა პროგრესიულ ძალას. ეს ის დრო იყო, როდესაც ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ და ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდა გზა გაეკაფა ფეოდალიზმის წიაღში მზარდი კაპიტალისტური წარმოების წესისათვის.

ეს იყო ხანა სამრეწველო გადატრიალებისა და უდიდეს გამოგონებათა ინგლისში, ხანა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია მაშინდელი ფეოდალური ევროპის საფუძვლები. ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებები იმის მომასწავებელი იყო, რომ დადგა აღსასრულის ჟამი დამყაყებული ფეოდალური ურთიერთობისათვის, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ადგილი უნდა დაუთმოს კაპიტალისტურ ურთიერთობას.

მაგრამ ეს იყო ამავე დროს ხანა, როდესაც ბურჟუაზიულ წყობილებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაოდ გამომჟღავნებული საკუთარი ბუნება, როდესაც მისი დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობანი სათანადოდ გაშლილი არ იყო. კლასთა ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უკვე ფაქტი იყო, მაგრამ იგი მწვავე ფორმაში ჯერ კიდევ არ იყო მოცემული.

ასეთი იყო ის პირობები, რომლებშიაც მოუხდათ სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა და მოღვაწეობა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დიდ წარმომადგენლებს, სმიტსა და რიკარდოს. ბუნებრივია, რომ ამ პირობებმა თავისი დაღი დაასვა მათს მოღვაწეობას. გამოხატავდნენ რა ახალი, უფრო პროგრესიული კლასის — სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, სმიტი და რიკარდო თავიანთ მახვილს მიმართავდნენ ფეოდალური წყობილების და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ. რიკარდო გარკვევით აცხადებდა, რომ მიწათმფლობელთა ინტერესები პირდაპირ წინააღმდეგობაში იმყოფება საზოგადოების სხვა კლასების ინტერესებთან. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ რიკარდო იბრძოდა ვაჭრობის თავისუფლებისათვის და სასტიკად ილაშქრებდა პურის კანონების წინააღმდეგ ინგლისში, რომელთა შედეგად პურის ფასები მაღალი იყო. პურის მაღალი ფასები კი იწვევდა ხელფასის ზრდას და კაპიტალისტების მოგების შემცირებას, რაც ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს.

სმიტი და რიკარდო იბრძოდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ისინი აიარაღებდნენ სამრეწველო ბურჟუაზიას მიწათმფლობელთა კლასის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს ბურჟუაზიული წყობილება მათ წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მუდმივი წყობილება. ისინი კაპიტალისტური წარმოების წესს განიხილავდნენ არა როგორც ისტორიულად გარდამავალ განვითარების საფეხურს, არამედ როგორც წარმოების აბსოლუტურ ფორმას. მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენადაც მაშინ კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არ ჰქონდა მიღებული აშკარა და მწვავე ხასიათი, სმიტსა და რიკარდოს შეეძლოთ თავისი კვლევის დროს მეცნიერულ საფუძველზე მდგარიყვნენ. მარქსი ამბობს: „რამდენადაც პოლიტიკური ეკონომია ბურჟუაზიულია... მას შეუძლია დარჩეს მეცნიერებად მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე კლასთა ბრძოლა ფარულ მდგომარეობაშია, ანდა მხოლოდ ცალკე მოვლენებში აშკარავდება. ავილოთ ინგლისი. მისი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია განუვითარებელი კლასთა ბრძოლის პერიოდს ეკუთვნის. და ბოლოს, ამ პოლიტიკური ეკონომიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი, რიკარდო, შეგნებულად იღებს თავის გამოკვლევათა გამოსავალ წერტილად კლასთა ინტერესების, შრომის ხელფასისა და მოგების, მოგებისა და მიწის რენტის წინააღმდეგობას, გულუბრყვილოდ განიხილავს რა ამ წინააღმდეგობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონს. მაგრამ მასთან ერთად ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა მეცნიერებამ თავის გარდუვალ საზღვარს მიაღწია“[1]).

ასეთი იყო ზოგადად კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და ის ეპოქა, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა რიკარდოს.

○

დავიდ რიკარდო წარმოშობით ჰოლანდიელი ებრაელი იყო. იგი დაიბადა 1772 წ. დავიდის ბავშვობის დროს მამა მისი გადასახლდა ინგლისში და საბირჟო ოპერაციების შედეგად დიდი ქონება შეიძინა. ასეთივე პრაქტიკული საქმიანობისათვის უნდოდა მამას მოემზადებინა თავისი შვილი.

რიკარდო მხოლოდ ორი წლის განმავლობაში სწავლობდა სავაჭრო სკოლაში. ამით დასრულდა მისი განათლება სკოლის ფარგლებში საზოგადოდ.

რიკარდო თავიდანვე დიდ ნიჭს იჩენდა საბირჟო და საერთოდ ფულის საქმეებში. ჯერ კიდევ 14 წლის ახალგაზრდა, იგი ცხოველ მონაწილეობას იღებს თავის მამასთან ერთად საბირჟო და სავაჭრო ოპერაციებში. მაგრამ დავიდი მალე სტოვებს მშობლიურ კერას და დამოუკიდებლად გამოდის თავისი ოპერაციებით ლონდონის ბირჟაზე.

სამეცნიერო მუშაობა ახალგაზრდობის პერიოდში რიკარდოს არ აინტერესებდა. იგი ჩაბმული იყო პრაქტიკულ საქმიანობაში, რის შედეგად გახდა მსხვილი კაპიტალისტი — მილიონერი.

რიკარდო მეცნიერებას ეწაფება 25 წლის შესრულების შემდეგ. მაგრამ მეცნიერების შესწავლა მან პოლიტიკური ეკონომიით არ დაუწყია. რიკარდო გატაცებული იყო პირველ ხანებში საბუნებისმეტყველო დისციპლინებით. იგი ხარბად დაეწაფა ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოლოგიის და მინერალოგიის შესწავლას. 1807 წ. რიკარდო გამოდის გეოლოგიური საზოგადოების ერთერთ დამაარსებლად.

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას რიკარდომ მოჰკიდა ხელი შედარებით მოგვიანებით. იგი ეცნობა სმიტისა და სხვა ეკონომისტების ნაშრომებს და თავისი კვლევითი მუშაობის საგნად სწორედ პოლიტიკურ ეკონომიას ხდის.

1809 წელს იბეჭდება რიკარდოს პირველი ეკონომიური ნაშრომი სათაურით „ოქროს ფასი“. იმ პოლემიკის გამო, რომელიც გაიმართა ამ ნაშრომის გარშემო, რიკარდომ მოათავსა წერილი ერთერთ ინგლისურ ჟურნალში. პირველი და მეორე წერილი რიკარდოს მიერ გადამუშავებულ იქნა და გამოქვეყნდა 1810 წ. სათაურით: „ზოდების მაღალი ფასი, როგორც საბუთი ბანკნოტების ფასების დაცემისათვის“. 1811 წ. რიკარდო აქვეყნებს ნაშრომს: „პასუხი ბოზანკეტის პრაქტიკულ შენიშვნებზე“. 1815 წ. იბეჭდება მისი ახალი ნაშრომი: „პურის დაბალი ფასის ზეგავლენის შესახებ კაპიტალის მოგებაზე“, 1816 წ. კი: „პროექტი ეკონომიური და მტკიცე ფულის მიმოქცევისა“.

ყველა ეს ნაშრომი დაწერილი იყო ცალკე პრაქტიკული საკითხების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ჰქონდათ არა მარტო პრაქტიკული, არამედ დიდი თეორიული მნიშვნელობაც.

ძირითადი ეკონომიური ნაშრომი რიკარდოსი დაიბეჭდა 1817 წ. სახელწოდებით: „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“.

როგორც ეკონომისტი, რიკარდო ცნობილი იყო ამ თავისი მთავარი ნაწარმოების გამოქვეყნებამდეც. მაგრამ აღნიშნული ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ იგი გახდა პოლიტიკური ეკონომიის ცნობილი გენიალური წარმომადგენელი.

გარდა სამეცნიერო მუშაობისა, რიკარდო აწარმოებდა აგრეთვე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1819 წ. იგი არჩეულ იქნა ინგლისის პარლამენტში, სადაც არაერთხელ გამოსულა სიტყვით სხვადასხვა ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე. რიკარდო ოპოზიციურად იყო განწყობილი და აყენებდა პარლამენტში რადიკალურ მოთხოვნებს განსახორციელებლად.

სიკვდილმა შესწყვიტა რიკარდოს ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი გარდაიცვალა 1823 წელს.

თავისი ეკონომიური კვლევის დროს რიკარდო იყენებდა აბსტრაქციის მეთოდს. მოვლენის შესწავლისას იგი ამარტივებდა მას, განაყენებდა გამართულებელ მომენტებს, ეძებდა მოვლენის საფუძველს. ამრიგად, რიკარდო მიდიოდა ანალიზური გზით, რის შედეგად კაპიტალისტური წარმოების კატეგორიები დაჰყავდა მარტივ კატეგორიებამდე.

მაგრამ ამ აბსტრაქტულ-ანალიზური გზით სვლას არ ჰყვებოდა მეორე — სინტეტიურ-გენეტიური გზით სვლა. რიკარდოს ეკონომიური კატეგორიები არ წარმოადგენდნენ ერთმანეთის ისტორიულ და ლოგიკურ განვითარებას. მათ შორის გაწყვეტილი იყო დამაკავშირებელი ძაფები, არ იყო გენეტიური კავშირი. ამიტომ, როდესაც რიკარდო ცდილობდა სხვადასხვა კატეგორიების ერთმანეთთან დაკავშირებას, ეს ხელოვნური ამბავი იყო და არ შეიძლებოდა მეცნიერულად დასაბუთებული და დამაჯერებელი ყოფილიყო. მარქსი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „კლასიკური პოლიტიკური ეკონომია დაინტერესებულია არა იმაში, რომ ანალიზის გზით დაიყვანოს ისინი მათ ერთიანობამდე, რადგან ის გამოდის მათგან, როგორც მოცემული წინაპირობებისაგან“[2]).

ანალიზი მარქსის აზრით აუცილებელი წინაპირობაა გენეტიური გადმოცემისა. იქ სადაც შეუძლებელია მიკროსკოპითა და ქიმიური რეაქტივებით სარგებლობა, გამოყენებულ უნდა იქნას აბსტრაქციის ძალა. მაგრამ მარქსის აზრით კლასიკოსების და კერძოდ რიკარდოს აბსტრაქცია მეტად არასრული იყო. მარქსი უკიჟინებდა კლასიკოსებს აბსტრაქტული ძალის ნაკლებობას და აგრეთვე იმას, რომ მათი აბსტრაქცია ფორმალური და არა დიალექტიკური იყო.

რიკარდო თავისი კვლევის დროს ხშირად არ სცნობდა შუალედ რგოლებს, რაც გაუგებრად ხდიდა განვითარების ნამდვილ პროცესს. რიკარდოს მეთოდს „მიჰყავართ მცდარ შედეგებამდე, ვინაიდან იგი გადაახტება აუცილებელ შუალედ რგოლებს და ცდილობს დაამტკიცოს უშუალო წესით ეკონომიურ კატეგორიათა ერთმანეთს შორის შესაბამობა“[3]).

კვლევაძიების მეთოდის მხრივ რიკარდომ ნაბიჯი გადასდგა წინ თავის წინამორბედებთან შედარებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, რიკარდოს აბსტრაქტულ-ანალიზური მეთოდი მაინც ცალმხრივი და არა დიალექტიკური იყო. მან არ შეეძლო აეხსნა ბურჟუაზიული წარმოების წარმოშობის, განვითარებისა და მოსპობის პროცესი.

რიკარდოსათვის ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური კატეგორიები მუდმივი ზეისტორიული კატეგორიები არიან. თვით ბურჟუაზიული წარმოება განხილულია მის მიერ როგორც საბოლოო, აბსოლუტური ფორმა წარმოებისა. მუდმივობა, მეტაფიზიკური უძრაობა კაპიტალისტური ეკონომიკის კატეგორიებისა, — ასეთია შედეგი რიკარდოს კვლევაძიების მეთოდისა.

უეჭველია, რომ როგორც ეს დასკვნები, ისე თვით კვლევაძიების აღნიშნული მეთოდი შეესაბამებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივობის ქადაგებაშია კლასობრივი არსი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა.

რაში მდგომარეობს რიკარდოს ეკონომიური მოძღვრება?

თავისი ეკონომიური მოძღვრების ძირითადი დებულებანი რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლების“ პირველ თავებშივე აქვს მოცემული.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია კლასიკოსების შრომითი ღირებულების თეორია. რიკარდო ამტკიცებდა, რომ პროდუქტების საცვლელი ღირებულება, ცალკეული გამონაკლისების გარდა, განისაზღვრება მათზე დახარჯული შრომით.

მაგრამ როგორია ეს შრომა, რომლითაც განისაზღვრება საცვლელი ღირებულება?

უნდა ითქვას, რომ რიკარდოს ამ საკითხზე არ შეეძლო და არც მიუცია სათანადო პასუხი. „ადამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ, იკვლევდნენ რა ეკონომიურ წყობილებას, ჩაუყარეს საფუძველი შრომითი ღირებულების თეორიას. მარქსმა გააგრძელა მათი საქმე. მან მეცნიერულად დაასაბუთა და თანმიმდევრობით განავითარა ეს თეორია. მან გვიჩვენა, რომ ყოველი საქონლის ღირებულება განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის იმ რაოდენობით, რომელიც მიდის ამ საქონლის წარმოებაზე. იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ხედავდნენ დამოკიდებულებას ნივთებს შორის (საქონლის საქონელზე გაცვლა), იქ მარქსმა აღმოაჩინა დამოკიდებულება ადამიანებს შორის“[4]).

რიკარდოს არ ჰქონდა წარმოდგენა საქონლის შემქმნელი შრომის ორმაგი ხასიათზე, მას არ ესმოდა ღირებულების კატეგორიის ისტორიული ხასიათი.

როგორც ლენინი ამბობს, მარქსმა განავითარა კლასიკოსების შრომითი ღირებულების თეორია. მარქსმა ამომწურავი პასუხი გასცა ღირებულების თეორიის ყველა საკითხს. მან მოგვცა კერძოდ მოძღვრება შრომის ორმაგი ხასიათის და საქონლის ფეტიშიზმის შესახებ.

არ გაგება ბურჟუაზიული წარმოების ისტორიული ხასიათისა. ცალმხრივი აბსტრაქტული მეთოდი, რომელსაც იყენებდა რიკარდო კვლევის დროს, შეუძლებლად ხდიდა შემდგომი კატეგორიების მეცნიერულ ახსნას ღირებულების თეორიის საფუძველზე. ღირებულების ანალიზიც, მოცემული რიკარდოს მიერ, უფრო რაოდენობრივ ხასიათს ატარებს, ვიდრე თვისობრივს. ასეთივეა მდგომარეობა სხვა კატეგორიების ანალიზის დროსაც. რიკარდოს აინტერესებს ღირებულება, ფული, ხელფასი და სხვა, როგორც გარკვეული ოდენობანი.

ფულის საკითხში რიკარდომ განავითარა ე. წ. რაოდენობრივი თეორია, რომელსაც მისმა წინამორბედებმა ჩაუყარეს საფუძველი.

რენტის საკითხში რიკარდომ გადასდგა ნაბიჯი წინ. დიფერენციულ რენტას მისი აზრით იძლევა უკეთესი მიწები, ცუდ მიწას კი მისი მოცემა არ შეუძლია. აბსოლუტურ რენტას რიკარდო არ სცნობდა.

პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები—ზედმეტი ღირებულება და წარმოების ფასები აუხსნელი დარჩა რიკარდოს მიერ შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე. რიკარდო თვითონ ხედავდა წინააღმდეგობას თავის მოძღვრებაში, ის ხედავდა, რომ თავისი მიდგომით ღირებულების საფუძველზე მას არ შეეძლო ახსნა აღნიშნული მოვლენებისა. ამის შედეგად რიკარდოს თეორია უნდა დამსხვრეულიყო და დაიმსხვრა კიდეც.

ასეთია მოკლეთ ზოგიერთი ძირითადი მომენტები რიკარდოს ეკონომიური მოძღვრებისა, რომელიც მოცემულია რიკარდოს მთავარ ნაშრომში.

○

რიკარდოს ეკონომიური მოძღვრება — ეს ის უკანასკნელი, ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალი იყო, რომელსაც მიაღწია ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა მეცნიერებამ. ამის შემდეგ ბურჟუაზიულმა ეკონომიამ საბოლოოდ დაჰკარგა მეცნიერული ხასიათი და გადაიქცა კაპიტალიზმის ცარიელ აპოლოგეტიკად.

კაპიტალისტური წარმოების შინაგანი წინააღმდეგობების მძაფრად გამომჟღავნება, სამრეწველო კრიზისების პერიოდული განმეორება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მუშათა კლასის მასობრივი ჩაბმა რევოლუციურ ბრძოლაში, ასეთი იყო ის შეცვლილი პირობები, რომლებშიაც მოექცა ბურჟუაზიული ეკონომია.

ბურჟუაზიამ ზურგი შეაქცია რიკარდოს — კლასიკური ეკონომიის ამ გენიალურ წარმომადგენელს. მან უარჰყო იგი, მიუსია რა მას დაქირავებული „კრიტიკოსები“. ამ „კრიტიკოსების“ ამოცანას შეადგენდა უარყოფა ან გაყალბება ყოველივე იმისა, რაც საუკეთესო და მეცნიერული იყო რიკარდოს მოძღვრებაში. დაიწყო ხანა ვულგარული ეკონომიისა, ხანა ბურჟუაზიული ეკონომიის დაცემისა.

პროლეტარიატის გენიალურმა თეორეტიკოსმა კარლ მარქსმა შეინარჩუნა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების და კერძოდ რიკარდოს მემკვიდრეობა. მარქსმა გამოიყენა კლასიკოსების მიღწევანი, გააკრიტიკა მათი შეცდომები და გადასწყვიტა მათ მიერ გადაუწყვეტელი მრავალი ძირითადი საკითხი პოლიტიკური ეკონომიისა.

მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის დროშა ხელთ აიღო პროლეტარიატმა თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით. მარქსმა, შეიარაღებულმა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით, კრიტიკულად აითვისა ის მეცნიერული განძი, რომელიც დასტოვა კლასიკურმა ეკონომიამ. გამოამჟღავნა რა მისი წინააღმდეგობანი და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რა მისი შეცდომები, მარქსმა განაგრძო თავის წინამორბედთა — კლასიკოსთა საქმე და მათი კრიტიკულად დაძლევის საფუძველზე მოგვცა გრანდიოზული შენობა ნამდვილი მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიისა.

ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა მშობლიურ ენაზე კლასიკური ბურჟუაზიული ეკონომიის საუკეთესო წარმომადგენლის რიკარდოს მთავარ ნაწარმოებს. ეს ნაწარმოები უნდა იქნას კრიტიკულად შესწავლილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების საფუძველზე.

რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლების“ პირველი ქართული გამოცემა (სახ. უნივერსიტეტისა, 1937 წ.) ემთხვევა მისი პირველი ინგლისური გამოცემის (1817 წ.) ასოცი წლის თავს. ეს გარემოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანად და აქტუალურად ხდის აღნიშნული შრომის გამოცემას ქართულ ენაზე და მის კრიტიკულ შესწავლას.

◆

---

[1]) მარქსი, კაპიტალი. ტ. I, გვ. VII-VIII.

[2]) Маркс, Теории приб. стоимости, т. III, 1924 წ. გვ. 388.

[3]) მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ. II, ნაწ. I, 1933 წ. გვ. 2. იხ. აგრეთვე გვ. 35 და 66.

[4]) Ленин, Избр. произведения, т. VI, стр. 3.

ხვალ იწყება საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში

ხვალ, 13 თებერვალს, ნაშუადღევის 4. ნახევარ საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში სატურნირო კომიტეტის ნიშნით ამუშავდება ათი საჭადრაკო საათი და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ხელოვნების ოცი სახელოვანი მოჭადრაკე დაიწყებს ბრძოლას საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

ეს ბრძოლა რომელიც გამძლეობის, გამოცდილების, თეორიული ძიებისა, ნებისყოფისა და სიმტკიცის დემონსტრაცია იქნება, სრულ ერთ თვეს გასტანს.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილე გროსმეისტერი ა. ა. ლილიენტალი (უნგრეთი)

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი, რომლის ესტრადაზე ჩვენ გვინახავს არაერთი სახელგანთქმული მუსიკოსი, მსახიობი და მომღერალი, სხვაგვარად მორთული იქნება ამ „ბრძოლისათვის".

პირველ რიგში რეკონსტრუირებული იქნება ესტრადა. იგი აღიმართება ორ საფეხურად დარბაზის მთელ სიგანეზე. ზედა საფეხურზე განლაგებული იქნება სპეციალურად დამზადებული კაკლის ხის საჭადრაკო მაგიდები ბზის ხისაგან დამზადებული საჭადრაკო ფიგურებით. თვითეული მაგიდა განათდება სპეციალური შუქურებით. მთელი ესტრადა დაიფარება ხალიჩებით. ჩემპიონატის მონაწილეებს ყველა პირობა ექნებათ რომ სიწყნარისა და სიმშვიდის ატმოსფეროში მთელი ძალა გამოავლინონ.

დავიწყებული არ არის მაყურებელიც. ესტრადის უკანა კედელზე სპეციალურ მაკეტზე დაიდგმება საუკეთესოდ გაფორმებული ათი საჭადრაკო სადემონსტრაციო დაფა. თვითეული წყვილის ყოველი სვლა მაშინვე აღინიშნება ამ დაფებზე. დაფები განათებული იქნება ექვსი მძლავრი პროჟექტორით.

ყველა ვერ მოხვდება დარბაზში, და არც ის ევარგება, რომ დასასვენებლად გამოსულმა მაყურებელმა რომელიც დარბაზში გულდასმით ადევნებდა თვალყურს მოჭადრაკეთა პარტიებს, ველარ განაგრძოს დაკვირვება. ამიტომ სადემონსტრაციო დაფებს გამოჰკიდებენ აგრეთვე დარბაზის წინა ოთახში და ფოიეში.

აქვე გამოჰკიდებენ ჩემპიონატის შედეგების ორ ცხრილს. ერთი ცხრილით მაყურებელს შეუძლიან გაეცნოს, თუ ვის ვის როგორ ეთამაშა და ქულათა რა რაოდენობა აქვს, ხოლო მეორე ცხრილი მოუთხრობს მას, თუ როგორი წარმატებით მიდის თვითეული მონაწილე ტურიდან ტურში. აქ ნაჩვენები იქნება ჩემპიონატის მონაწილის შედეგების ინდივიდუალური მრუდი.

ამავე ოთახში გამოყოფილი იქნება სპეციალური კუთხე, სადაც იწარმოებს მასობრივი მუშაობა მაყურებელთა შორის (სეანსების, ლექციებისა და პარტიების დემონსტრაციის სახით).

სპეციალურად გამართულ ყვავილებითა და ლოზუნგებით მორთულ რუსთაველის საკონცერტო დარბაზში ხვალ დაიწყება საკავშირო 1937 წ. პირველობის მოსაპოვებელი საჭადრაკო ჩემპიონატი, რომლის საბოლოო შემადგენლობა ასეთია:

გროსმეისტერი ლილიენტალი (უნგრეთი, კონკურსს გარეშე), საბჭოთა კავშირის მაესტროები: ალატორცევი, ბელავენეცი, პანოვი, კანი, იუდოვიჩი (მოსკოვი). ლევენფიში, რაგოზინი, რაუზერი, რაბინოვიჩი, ლისიცინი, ჩეხოვერი, ილინ-ჟენევსკი (ლენინგრადი), კონსტანტინოპოლსკი (კიევი), ვ. მაკაგონოვი (ბაქო), გოგლიძე (თბილისი), კასპარიანი (ერევანი), პირველი კატეგორიის მოჭადრაკეები: ბუდო (ლენინგრადი), ბონდარევსკი (როსტოვი) და ებრალიძე (თბილისი), რომელმაც შესცვალა მაესტრო ბოგატირჩუკი.

ა. ფალავანდიშვილი

პირველად თბილისში

თბილისელ მოჭადრაკეთა განცხადებით, მეათე საკავშირო ჩემპიონატის თბილისში გამართვა მათთვის ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს.

საკავშირო ჩემპიონატის თბილისში მოწყობა ცხოველ დაინტერესებას იწვევს მუშებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მოსახლეობის ყველა ფენაში. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის საჭადრაკო სექციაში შემოდის მოთხოვნილებები თბილისის ფაბრიკა-ქარხნებიდან.

— გვაინტერესებს საჭადრაკო ჩემპიონატის საკითხები, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მომხსენებელიო — იწერებიან ფაბრიკა-ქარხნებიდან. მუშები აგრეთვე მოითხოვენ მიეცეთ საშუალება კოლექტიურად დაესწრონ პარტიების გათამაშებას.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილე ვ. ვ. რაგოზინი

გამოყოფილი არიან მომხსენებლები, რომლებსაც დავალებული აქვთ გააკეთონ მოხსენებები საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მნიშვნელობის შესახებ თბილისის მთელ რიგ წამყვან საწარმოებში, როგორიცაა ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა, 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ავტოსარემონტო ქარხანა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა და სხვ. ასეთივე მოხსენებები ეწყობა ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ასობით მოჭადრაკენი არიან ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, ათასობით მოჭადრაკენი მოიძებნებიან თბილისში. მათთვის ეს ჩემპიონატი უწინარეს ყოვლისა, საუკეთესო სკოლაა, გამოცდილების შეძენის წყარო, ჭადრაკის საუკეთესო ოსტატთა პირისპირ ნახვისა და მათი ბრძოლის უნარიანობის საცდელი ასპარეზი.

დ. ლომთაძე

○ ○ ○

მონაწილენი ჩემპიონატის შესახებ

მაესტრო ილ. რაბინოვიჩი

(ლენინგრადი)

— საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი უკანასკნელად 1934 წელს იყო. ამ ჩემპიონატიდან გამარჯვებულნი გამოვედით მე და მაესტრო ლევენფიში. მაგრამ მაშინ, პირობის თანახმად, ჩემპიონატში გამარჯვებულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება არ ეძლეოდა და ამ სახელის მოპოვება შეიძლებოდა ჩვენს სახელოვან გროსმეისტერ ბოტვინიკთან მატჩის მოგებით. წელს კი, ამ ჩემპიონატზე გამარჯვებულს მიეცემა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი, რომელსაც ესწრაფვის ყოველი ჩვენთაგანი.

ჩემპიონატის მონაწილეთა შესახებ ჩემი აზრი ასეთია:

საქართველოს ცნობილი მოჭადრაკე ოსტატი ვ. გოგლიძე და აზერბეიჯანელი ოსტატი ვ. მაკაგონოვი, ჩემის აზრით, დიდ წარმატებას ვერ მიაღწევენ. ეს იმიტომ, რომ ჭადრაკში პირველობისათვის არ კმარა მარტო ნიჭი, ან ფანტაზიის სიმდიდრე, არამედ საჭიროა ვარჯიში და საჭადრაკო ტექნიკის უახლეს მიღწევათა ღრმად ცოდნა. ამ მხრივ კი ორივე ეს ნიჭიერი ოსტატი შედარებით ჩამორჩენილია. ღრმა ინტერესით მოველი ახალგაზრდა მოჭადრაკეების—ლენინგრადელი ბუდოს, თბილისელი ებრალიძისა და როსტოველი ბონდარევსკის თამაშს. მათი თამაშის შედეგები დამოკიდებულია მათს გამოცდილებასა, გამძლეობასა და ნებისყოფის სიმტკიცეზე.

მაესტრო ვ. რაუზერი

(ლენინგრადი)

— ვფიქრობ, მიმდინარე ჩემპიონატი გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ იგი ცოტა ადრე მოწყობილიყო და მასში მონაწილეობა მიეღოთ გროსმეისტერ ბოტვინიკს და ამერიკელ გროსმეისტერ ფაინს. მათი მონაწილეობა გააძლიერებდა სპორტულ ინტერესს ჩვენი ჩემპიონატისადმი და რაც მთავარია, ხელს შეუწყობდა ჩვენი საჭადრაკო ტექნიკის ზრდას.

პირადად მე ამ ჩემპიონატისათვის ვერა ვგრძნობ თავს საკმაოდ მომზადებულად. ჩემპიონატში მონაწილეობენ საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნების თითქმის მთელი გამოჩენილი ძალები და, გულწრფელად რომ აღვიარო, პირველ ადგილზე გამოსვლის დიდი იმედი არა მაქვს.

მაესტრო ვლ. მაკაგონოვი

(ბაქო)

— ჩემპიონატის შედეგების წინასწარვე გათვალისწინება შეუძლებელია. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩემპიონატზე დაშვებული მოჭადრაკენი გაცილებით უფრო სუსტად ვართ მომზადებულნი ასეთი პასუხსაგები შეჯიბრებისათვის, ვიდრე ჩვენი მოსკოველი და ლენინგრადელი კოლეგები. ჩვენ, მაგალითად, მე, გოგლიძეს და კასპარიანს არ გვქონდა საშუალება ისე გვევარჯიშნა, როგორც ამ ჩემპიონატის სხვა მონაწილეებს.

ჩემპიონატში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსები, ჩემის აზრით, აქვთ ლევენფიშს, კანს, ალატორცევს და რაგოზინს.

მაესტრო გ. ლისიცინი

(ლენინგრადი)

— სასიხარულოა, რომ მეათე საკავშირო ჩემპიონატი თბილისში მოეწყო. ეჭვი არაა, ეს ჩემპიონატი თბილისის მშრომელებში დიდ გამოხმაურებას გამოიწვევს და ჩვენს დარბაზს, ალბათ, არასოდეს დააკლდება მაყურებელთა მასა.

ჩემპიონატში მონაწილენი თითქმის თანაბარი ძლიერების მოჭადრაკენი არიან და ერთობ ძნელია გათვალისწინება, თუ ვინ დაიმსახურებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდებას. მე პირადად, ჩემპიონობის კანდიდატად მაესტრო ლევენფიში მიმაჩნია.

მაიორი ***

საავიაციო გაერთიანების მეთაური

ბრძოლის ეპიზოდები

(წერილი მადრიდიდან)

დასჯა

ეს საშიში მტაცებელი იყო. მოულოდნელად გაჩნდებოდა ხოლმე ჩვენს ზურგში, ეძებდა აეროდრომებს, სამხედრო ნაწილების ადგილსამყოფელს და ასევე მოულოდნელად გაჰქრებოდა.

სწრაფი და მოქნილი, გადაუვლიდა ფრონტს 5.000 მეტრის სიმაღლეზე და, განავითარებდა რა დიდ სისწრაფეს — 360 კილომეტრამდე საათში, თავს დაიძვრენდა მდევნელებისაგან.

რესპუბლიკელთა აეროდრომებზე კარგად იცოდნენ ფაშისტური მფრინავის ჩვევები. დაჰკარგა რა ჩვენი აეროდრომების აღმოჩენის იმედი, ის თავს ესხმოდა მშვიდობიან მოსახლეობას. თავის 10-კილოგრამიან ოთხ ყუმბარას მზვერავი ესროდა ხოლმე სოფლებს ანდა რკინიგზის პატარა სადგურებს. ამ „გმირობის" შემდეგ მტაცებელი გადაუქროლებდა დასახლებულ პუნქტებს და ტყვიამფრქვევით ხოცავდა ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. ეს უაზრო სიმხეცე იყო და არ სჯეროდა, რომ თვითმფრინავის საჭესთან ადამიანი იჯდა.

მთავრობის მფრინავებმა მის შესახებ ზუსტი ცნობები შეჰკრიბეს. მტერი დაფრინავდა გერმანული სწრაფმავალი მანქანით „ჰეინკელი-71", რომელიც საშუალებას აძლევდა 200-300 კილომეტრით შემოჭრილიყო ჩვენს ტერიტორიაზე.

— ერთი შეგვაპყრობინა მტაცებელი, რომ ჭკუა ვასწავლოთ! — ოცნებობდნენ მფრინავები.

და აი ერთხელ ფრონტის მახლობლად მდებარე აეროდრომზე მოვიდა ცნობა: „ჰეინკელი-71" გამოჩნდა რკინიგზის სადგურ ალკალა დე სან ხუანის ზევით და ცეცხლი წაუკიდა „ჰამსის" უცხოური კომპანიის ნავთსაცავებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამი გამანადგურებელი აფრინდა ჰაერში. ჯერ კიდევ აფრენამდე რგოლის უფროსმა ფერნანდო ნეგრომ გასცა ბრძანება:

— გაიშალეთ მარაოსავით. ეძიეთ მზვერავი ავილის გზაზე, სადაც მისი აეროდრომი იმყოფება.

დიდხანს დაჰქროდნენ გამანადგურებლები. მტერი მოულოდნელად თვით ნეგრომ შენიშნა. მზვერავი მიდიოდა 4.000 მეტრის სიმაღლეზე. გამანადგურებელი 1.000 მეტრით უფრო მაღლა აფრინდა, და გაიმართა ბრძოლა.

ნეგრო განთქმული მფრინავია, გერმანელმა პილოტმა ვერ შესძლო თავისი სწრაფმავალი მანქანითაც კი დაეძვრინა მისგან თავი. ტყვიამფრქვევის ცეცხლმა მტრის თვითმფრინავს ფრთა დაუზიანა. რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე მოსჩანდა ფაშისტების აეროდრომი. გერმანელმა პილოტმა გაქცევის მიზნით პიკზე გადაიყვანა მანქანა. ის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა ქვევით ჯერ ათას მეტრზე, შემდეგ მეორე ათასზე, მესამე ათასზე. აეროდრომამდე დარჩა 10 კილომეტრზე ნაკლები, როდესაც ნეგრომ მიწასთან მიახლოვებისას ბოლო მოუღო მტერს.

ამ საღამოს შტაბში მიიღეს მოკლე პატაკი:

— „ჰეინკელი-71" ჩამოგდებულია.

რუბიოს სიკვდილი

რუბიო გმირულად დაიღუპა. მე მახსოვს ეს ჩუმი მფრინავი, რომელიც მუდამ თავის თვითმფრინავს დასტრიალებდა.

...ყუმბარმზიდები გამანადგურებლების თანხლებით მტრის ზურგში შეიჭრნენ. ისინი მოულოდნელად გაჩნდნენ მაკედეს აეროდრომზე და გულმოდგინედ დააყარეს ყუმბარები იქ მოთავსებულ ყველა მანქანას. უკანასკნელ წუთს, როდესაც მთავრობის თვითმფრინავებმა კურსი აიღეს ფრონტის ხაზისკენ, საზენიტო ტყვიამფრქვევების ცეცხლმა დააზიანა რუბიოს მანქანა. ამხანაგებმა დაინახეს, როგორ გაეხვია ცეცხლის ალში ერთერთი ძრავი და ორთქლი ამოვარდა რადიატორიდან.

რუბიოს მტკიცედ მიჰყავდა მანქანა და ცდილობდა მიეღწია თავის აეროდრომამდე. თვითმფრინავი სისწრაფეს ჰკარგავდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ძრავის აფეთქება. რუბიო ნათლად ხედავდა, რომ ვეღარ მოახერხებდა მშობლიური მხარის მიღწევას. უნდა დაეშვას. მაგრამ სად? ამ დროს შორს გამოჩნდა ტორიხოსი, რომელიც მეამბოხეების მიერ იყო დაკავებული. ქალაქის განაპირა უბანში რუბიომ შენიშნა აეროდრომი, რომელიც სავსე იყო „იუნკერსებით", „ჰეინკელებით", „ფიატებით"...

რუბიომ იწყო ძირს დაშვება.

„ეშვება!" — გაიფიქრეს მისმა ამხანაგებმა.

მათ დაინახეს, როგორ ოსტატურად დაეშვა რუბიო მტრის აეროდრომზე, როგორ გაეშურნენ მისკენ ადამიანთა პაწია შავი ფიგურები, როგორ ამოვარდა კაბინიდან რუბიოს ფიგურა, როგორ ანიშნა მან ხელით მფრინავ-მეთვალყურეს. მაგრამ რა მოხდა? რატომ გარბიან უკან თვითმფრინავისაკენ მიმავალი ადამიანები?

რუბიოს თვითმფრინავიდან აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები. რამდენიმე წუთის განმავლობაში ისინი ტყვიას უშენდნენ აეროდრომზე გაფანტულ მანქანებს. მტრის თვითმფრინავებზე ცეცხლი ჩნდებოდა, ისმოდა აფეთქების ხმა. უკანასკნელ წამამდე, სანამ ტყვიამფრქვევების ცეცხლმა არ დაცხრილა ორივე პილოტის სხეული, ისინი ანადგურებდნენ ფაშისტურ თვითმფრინავებს.

ასე დაიღუპნენ რუბიო და მისი მფრინავ-მეთვალყურე.

თავდასხმა ავილაზე

მადრიდის ქუჩები სავსე იყო ხალხით. ხანგრძლივი მძიმე დღეების შემდეგ, ბოლოს, დადგა შესვენების მომენტი: უამინდობამ გზა დაუხშო ფაშისტურ თვითმფრინავებს დედაქალაქისაკენ.

ღრუბლების სქელ ნისლში გაეხვია სიერა დე გრედოსისა და სიერა გვადარამის მწვერვალები. მხოლოდ ამ ქედების გადაფრენით შეეძლოთ მტრის თვითმფრინავებს, რომლებიც ავილას და სალამანკას აეროდრომებზე იყვნენ მოთავსებული, მიეღწიათ მადრიდამდე. ასეთ ამინდში გაფრენას კი ფაშისტი მფრინავები ვერ ბედავდნენ.

სწორედ ასეთ დღეს იყო მიღებული ბრძანება — ყუმბარები დაგვეშინა მტრის აეროდრომისათვის ავილაში.

გათენებისას ხუთმა სწრაფმავალმა ყუმბარმზიდმა დასტოვა აეროდრომი. მადრიდის თავზე კიაფობდა იშვიათად სუფთა, ცისფერი ცა, მაგრამ ღრუბლებს მტკიცედ ჰყავდათ დატყვევებული მთის მწვერვალები.

ჩვენ გადავწყვიტეთ დიდ სიმაღლეზე ასვლა და ასე გადაფრენა მთებზე. მხოლოდ 5.000 მეტრის მიღწევის შემდეგ თვითმფრინავებმა ძირს დასტოვეს თეთრი ღრუბლების ველი, რომელშიც გახვეული იყო მთის მწვერვალები. ღრუბლებით იყო დაფარული მთელი შემდგომი გზაც. არ სჩანდა მიწის არცერთი ორიენტირი. სად არის ავილა? ფრენის დროის მიხედვით ჩვენ უკვე ავილაზე უნდა ვყოფილიყავით. გულმოდგინედ ეძებდნენ თვითმფრინავები მცირე „ფანჯარას", რომ ქვევით დაშვებულიყვნენ, მაგრამ სინათლე არ სჩანდა.

— უკან უნდა დავბრუნდეთ და ღრუბლებს ქვევით ვიფრინოთ, — გადავწყვიტე მე.

თვითმფრინავები უკან გამობრუნდნენ. მხოლოდ ტოლედოს მთებთან მიახლოვებისას ვიპოვეთ სუფთა ადგილი და, ვისარგებლეთ რა ამით, ძირს დავეშვით. ტოლედოს მთები რვაასი მეტრის სიმაღლეზეა აღმართული. ღრუბლების ფენა გაწყდა მხოლოდ 1000 მეტრზე. ჩვენ მივფრინავდით ვიწრო ხეობით, მთებზე მიკრულნი, ღრუბლების ქვეშ.

მაგრამ ღრუბლებმა სამსახური გაგვიწიეს იმ მხრივ რომ შეუნიშნავად მიუახლოვდით ავილას. თავს დავესხით აეროდრომს. აქ მწყობრში იდგა 12 „იუნკერსი" და 30-მდე გამანადგურებელი. მათ გარშემო ფუსფუსებდა 300-მდე კაცი. ჩვენი თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მტრის ვერცერთმა გამანადგურებელმა ვერ შესძლო ჰაერში აფრენა. ასი ყუმბარა დავაყარეთ მიწას. ყუმბარებს ვისროდით 600 მეტრის სიმაღლიდან და ერთი ყუმბარაც არ დაკარგულა უშედეგოდ.

სამჯერ მიბრუნდნენ თვითმფრინავები ყუმბარების ჩამოსაყრელად. მტრის საზენიტო ქვემეხები უძლური იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი გამოსადეგია მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმფრინავები 1500-1800 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებიან.

გიზგიზებდნენ ცეცხლის ალში გახვეული „იუნკერსები" და გამანადგურებლები. თვითმფრინავების მთელი ეკიპაჟი მიმოიფანტა.

ჩვენ მხოლოდ სამი წუთი დაგვჭირდა, რომ გაგვენადგურებინა აეროდრომი ავილაში. შემდეგ ღრუბლებს მივეფარეთ.

მშვიდობით, რამოზ!

ჩემი მეგობარი, საყვარელი რამოზ!.. როგორ დავუახლოვდით ერთმანეთს ბრძოლის ამ მძიმე დღეებში მადრიდთან. ბოღმით მევსება გული. არ მჯერა, რომ აი ხვალ, როცა კვლავ ავფრინდები ყუმბარების ჩამოსაყრელად, მარჯვნივ ვერ დავინახავ კაპიტან რამოზის ნაცნობ მანქანას.

ამ თვეების განმავლობაში რამდენჯერ გამოსულა რამოზი მძიმე მდგომარეობიდან. მე უკვე ვწერდი, თუ როგორ შეიჭრა რამოზი დაზიანებული ძრავით სევილიის აეროდრომზე და შეასრულა საბრძოლო დავალება.

აი როგორ დაიღუპა ის.

...მადრიდის თავზე მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მოხდა ავიაციის ისტორიაში ერთერთი უდიდესი საჰაერო ბრძოლა. 24 „იუნკერსი" რამდენიმე ათეული გამანადგურებლის თანხლებით კვლავ შეეცადა სიკვდილი დაეთესა დედაქალაქის მუშათა უბნებში. მათ ეკვეთნენ მთავრობის გამანადგურებლები. გერმანელებმა არ მიიღეს ბრძოლა და მოჰკურცხლეს. ინგლისელი და ფრანგი კორესპონდენტები, რომლებიც მეამბოხეთა ბანაკში იმყოფებოდნენ, შემდეგ იტყობინებოდნენ, რომ ესკადრილიის აეროდრომზე დაბრუნებისას გამოირკვა, რომ მათმა ეკიპაჟმა დაჰკარგა 40-მდე მოკლული და დაჭრილი.

ამ ბრძოლამ, რომელმაც ძლიერ დააზარალა მტრის საჰაერო ძალები, რამდენიმე დღით გაანთავისუფლა მადრიდი საჰაერო ბომბარდირებისაგან. ფაშისტებმა სასწრაფოდ შეავსეს დარბეული ესკადრილია. სევილიის აეროდრომზე მიიტანეს ახალი თვითმფრინავები. თავდებოდა მათი აწყობა, ამოწმებდნენ მატერიალურ ნაწილს.

სარდლობამ გვიბრძანა: დაუყოვნებლივ დაგვეშინა ყუმბარები სევილიის აეროდრომისათვის, საშუალება არ მიგვეცა მტრისათვის შეევსო ესკადრილია.

შვიდი სწრაფმავალი ყუმბარმზიდი გაფრინდა სევილიის მიმართულებით. ჩვენ ვიცოდით, რომ დღის პირველ საათზე გერმანელი პილოტები და მოტორისტები ჩვეულებრივ სტოვებდნენ აეროდრომს სადილისათვის. სწორედ ამ დროს შევუფარდეთ ჩვენ სევილიაზე გამოჩენა.

ჩვენ გაგვაფრთხილეს: ფაშისტურმა აეროდრომმა იცოდა ჩვენი მისვლის ამბავი. „მეხუთე კოლონამ" აცნობა ეს, თუ ფრონტმა — ძნელი გამოსარკვევია. როდესაც სევილიას მივუახლოვდით, წავაწყდით საზენიტო ქვემეხების საშინელ შემაკავებელ ცეცხლს. თითქმის ერთდროულად ჩვენს თავზე გაჩნდა 18 გამანადგურებელი.

რა სიტყვებით აგიწეროთ საჰაერო ბრძოლის სურათი! ზევიდან ტყვიამფრქვევების საშინელ ცეცხლს გვიშენდნენ გამანადგურებლები. ქვევიდან გვესროდნენ საზენიტო ქვემეხები. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევიჭერით აეროდრომზე და შევასრულეთ დავალება. ჩვენი თავდასხმის შემდეგ ფაშისტებს აღარაფერი ჰქონდათ ასაწყობი: აეროდრომზე მყოფი თვითმფრინავები განადგურებული იყო.

ამ ბრძოლაში დაზიანდა რამოზის თვითმფრინავი. ის კვლავ ერთი ძრავით დარჩა. რამოზი ცდილობდა მწყობრიდან არ გამოსულიყო, მაგრამ მანქანამ დაჰკარგა სისწრაფე და მალე ჩამორჩა. მაშინ მის დასახმარებლად გაემართა თვითმფრინავეთა რგოლი. ელვისებური დარტყმით მოვახერხეთ ერთერთი „ფიატის" ჩამოგდება და გამანადგურებელთა გაფანტვა. მაგრამ რა უნდა გაეწყო რამდენიმე ყუმბარმზიდს მტრის 17 გამანადგურებლის წინააღმდეგ? რგოლის უფროსი ხედავდა, როგორ იწვოდა რამოზის თვითმფრინავი. ხსნა არ იყო...

იყო კიდევ ხსნის ერთი გზა. რამოზს შეეძლო დაშვებულიყო მტრის ტერიტორიაზე და გადაერჩინა თავი. მაგრამ რამოზი მტკიცედ განაგრძობდა ფრენას. მისი თვითმფრინავი ცეცხლის ალში იყო გახვეული და მაინც მიფრინავდა.

გამანადგურებლები დაუსჯელად ჰკორტნიდნენ გმირის თვითმფრინავს. რამოზს არ შეეძლო ტყვიამფრქვევების ცეცხლით გაეფანტა ისინი. თითქმის მთელი ეკიპაჟი დახოცილი იყო.

რამოზი არ დანებდა. ის დაიღუპა ჰაერში, აფეთქების დროს, რომელმაც გაანადგურა მისი თვითმფრინავი.

მშვიდობით, მებრძოლო მეგობარო, კაპიტანო რამოზ!

(თარგმანი ესპანურიდან)

„იზვესტია".

საქართველოს ცაკში

წერა-კითხვის უცოდინარობასა და მცირემცოდნეობასთან მებრძოლი სექციები

ცაკის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ კიროვისა და სტალინის რაისაბჭოებმა (თბილისი) არ შეასრულეს ცაკის პრეზიდიუმის 1936 წლის 15 აპრილის დადგენილება რაისაბჭოებთან წერა-კითხვის უცოდინარობასა და მცირემცოდნეობასთან მებრძოლი სექციების ჩამოყალიბების შესახებ. ლენინის რაისაბჭომ ეს წინადადება შეასრულა ერთი თვის დაგვიანებით. ცაკის პრეზიდიუმმა ამავე დროს აღნიშნა, რომ თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ამ გარემოებას არ მიაქცია ყურადღება და არ მიიღო ზომები, რომ დაჩქარებულიყო დასახელებული სექციების ჩამოყალიბება რაისაბჭოებთან.

ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კიროვის და სტალინის რაისაბჭოებს ათი დღის განმავლობაში ჩამოაყალიბონ ეს სექციები და დასახონ ღონისძიებები სექციების მუშაობის ამთავითვე გასაშლელად.

მენდელეევის სახელობის საზოგადოება

დამტკიცებულია მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობა. საორგანიზაციო ბიუროში შედიან: პროფ. ბ. კანდელაკი (თავმჯდომარე), პროფ. ი. მოსეშვილი (თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები —პროფ. ზავრიევი, პროფ. გ. ვაწაძე, პროფ. შ. ცინცაძე, პროფ. ი. ქუთათელაძე, პროფ. ს. ფილატოვი, პროფ. რ. ნიკოლაძე, ამხ. კ. მანჯგალაძე, პროფ. ვ. ღვალაძე და ამხ. ევგ. წულაძე (სწავლული მდივანი).

◇

ნიადაგთა და მცენარეთა დაცვის საზოგადოება

სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა სპეციალისტებმა, მეტყევეებმა, აგრონომებმა და ინჟინრებმა შარშან მიზნად დაისახეს ნიადაგთა და მცენარეთა დაცვის საქ. რესპუბლიკური საზოგადოების შექმნა. გამოყოფილმა საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა საზოგადოების წესდება და საქართველოს ცაკში დასამტკიცებლად წარადგინა. 5 აპრილს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საზოგადოების წესდება.

საორგანიზაციო ჯგუფი: პროფ. როშინის, პროფ. გულისაშვილის, პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის, პროფ. ზაკტრეიგერის, აგრონომ ბეგიაშვილის, მეცნიერ მუშაკების: გუსაკის, იაცენკოს და ვ. ნ. გიგინეიშვილის შემადგენლობით—უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

13 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სატყეო კომისარიატში (მაჩაბლის ქუჩა № 1) მოწვეულია საინიციატივო ჯგუფისა და დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი.

ველოსტადიონზე

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტმა განიხილა საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალური ბიუროს ველოსტადიონზე შექმნილი მდგომარეობა. სტადიონზე ადგილი ჰქონდა თავაშვებულობისა და საყოფაცხოვრებო გახრწნილების ფაქტებს, რასაც ხელს უწყობდა ველოსტადიონის დირექტორის გ. ახმეტელის მოქმედება (გინება, საზოგადოებრიობის უგულებელყოფა და სხვ.)

ველოსექციის თავმჯდომარემ — ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის ყოფ. მოადგილემ ამხ. ა. აბზიანიძემ თავი მიანება ველოსექციას და ველოსტადიონს, საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალურმა ბიურომ კი მთელი მუშაობა ველოსტადიონის დირექტორს გ. ახმეტელს გადააბარა.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის დადგენილებით, გ. ახმეტელი მოხსნილია სამუშაოდან. მასალა უკანონო გამოსავლების გადახდევინების შესახებ გადაეგზავნა პროკურორს.

ველოსექციის მუშაობის ჩაშლისათვის ამხ. ა. აბზიანიძეს გამოეცხადა საყვედური.

ველოსტადიონის ცუდი ხელმძღვანელობისათვის პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარეს ამხ. მახათაძეს გაფრთხილება მიეცა.

ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროს წინადადება მიეცა მიიღოს გადამწყვეტი ზომები ველოდრომის მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

◇

კრებები

— **თბილისის სახ. უნივერსიტეტში** (აუდ. № 86) 13 აპრილს, საღამოს 8 ს. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სექციისა და დას. ევროპის ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომაზე პროფ. შ. ნუცუბიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „უცხოური გავლენა საქართველოს პოლიტიკურ აზროვნებაზე მე-11—მე-12 საუკუნეებში".

— **განათლების მუშაკთა სახლში** 13 აპრილს, 8 საათზე, ქართული საბავშვო ჟურნალების რედაქცია პირველ საშუალო სკოლის მოწაფეთათვის მართავს პოეტ გ. ქუჩიშვილის შემოქმედებითს საღამოს. მომხსენებელია ამხ. ალ. სულავა.

— **საქ. საჯარო ბიბლიოთეკის** პერიოდიკის დარბაზში დღეს, საღამოს 8 ს. ამხ. გ. დავიდოვი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: ა. ი. გერცენის მსოფლმხედველობა. დასწრება თავისუფალია.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, სალ. 8 ს. გაიმართება პროფ. დ. უზნაძის ლექცია თემაზე: „ჰერბერტ სპენსერი" დასწრება თავისუფალია.

◇

ხელოვნება

სახელმწიფო კაპელას კონცერტი

13 აპრილს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული სახელმწიფო კაპელას პირველი საჩვენებელი კონცერტი.

კაპელა ჩამოყალიბდა 1936 წლის ივლისში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით. კაპელაში 80 ქალ-ვაჟი შედის.

მ. კუხიანიძე დიდიხანია მუსიკის დარგში მუშაობს. მან დაამთავრა კაპელას კურსები ძველ პეტერბურგში, რის შემდეგაც პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ ჩრდილოეთ-კავკასიაში, 1918 წლის შემდეგ კი საქართველოში. ის მუსიკის ისტორიის მასწავლებლად იყო ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში, ხოლო 1922 წლიდან ბათუმში დაარსა აჭარის სახელმწიფო აკადემიური გუნდი. გარდა ამისა, 1934-35 წლებში ხელმძღვანელობას უწევდა ქუთაისის სახელმწიფო გუნდსაც.

1936 წელს მ. კუხიანიძე მოწვეულ იქნა სახელმწიფო კაპელას ხელმძღვანელად.

მიუხედავად კაპელას ხანმოკლე არსებობისა, საგუნდო შემოქმედების ამ დახელოვნებულმა ოსტატმა თავისი დაუღალავი შრომითა და აგრეთვე მთელი კოლექტივის თავგამოდებული მუშაობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია კლასიკური და ხალხური შემოქმედების შესრულების მხატვრული სრულყოფის დარგში.

სახელმწიფო კაპელას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს განსაკუთრებით ახალგაზრდა კომპოზიტორები ი. ტუსკია, გ. კილაძე, შ. მშველიძე, გრ. კოკელაძე, ვ. ცაგარეიშვილი და სხვ.

ხვალინდელი კონცერტის პროგრამაში ქართული, რუსული და უკრაინული სიმღერები.



მელიტონ კუხიანიძე

სახელმწიფო კაპელას ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

გაზაფხული აჭარაში...

ფოტო—ეტიუდი—იგ. იმედაძის

საბჭოთა აჭარა

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საკურორტო სეზონი

აპრილის დამდეგს გაიხსნა აჭარის საკურორტო სამმართველოს ქობულეთის სანატორიუმი.

სანატორიუმი კაპიტალურად არის შეკეთებული. გახსნილია ახალი ფიზიკაბინეტები: წყალსამკურნალო, ელექტრო-სამკურნალო, ფოტო-განყოფილება, გაფართოებულია ლაბორატორიები.

ზაფხულში მოეწყობა სამკურნალო პლიაჟი. კურორტის ადმინისტრაცია ღებულობს ყველა ზომას დამსვენებელთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით დადებულია ხელშეკრულება საკონცერტო-საესტრადო ბიუროსთან, რომელიც ფართო მომსახურებას გაუწევს დამსვენებლებს.

გასულ წელს აქ დაისვენა 1200-მა კაცმა. წელს სანატორიუმში გაივლის 1400 კაცი. ამჟამად სანატორიუმში ჩამოსულია 70 დამსვენებელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

○

მზადება პირველი მაისისათვის

აჭარაში დაიწყო სამზადისი საპირველმაისო ზეიმისათვის. ბათუმის ნავთსადენელი ქარხნების კლუბში მოეწყობა ლექციების ციკლი პარტისტორიის შესასწავლად, მხატვრული თვითშემოქმედების საამქრო და საერთო-საქარხნო ოლიმპიადები. რუსული დრამწრე ამზადებს არბუზოვის პიესას „შორეული გზა". საამქროების გუნდები სწავლობენ ახალ სიმღერებს.

პირველი მაისიდან გაიხსნება საბავშვო მოედანი ატრაქციონებით.

○

ბავშვთა სახლები

ხალიბაურისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ახალი საბავშვო სახლების მშენებლობა, თითო მათგანი დაიტევს 36 ბავშვს.

მშენებლობისათვის გადადებულია 200.000 მანეთი.

შეჯიბრება სროლაში

სსრ კავშირის თავდაცვაავიაქიმის სასროლო-სასპორტო კომიტეტი გაზ. „პიონერსკაია პრავდასთან" ერთად მართავს „ახალგაზრდა ვოროშილოველ მსროლელთა" ნაკრები გუნდების შეჯიბრებას, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ბათუმის გუნდიც. ბათუმის საბავშვო პარკის სასროლო ტირში უკვე შეუდგნენ გუნდის დაკომპლექტებას. „ახალგაზრდა ვოროშილოველ მსროლელთა" აჭარის გუნდში ხუთი ქალი და ხუთი ვაჟია.

შეჯიბრება მოეწყობა მაისში.

○

ახალგაზრდა ნატურალისტთა წრე

ბათუმის მიასნიკოვის სახელობის სკოლაში ამხ. კიზირიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა ნატურალისტთა წრე 50 მოსწავლის შემადგენლობით.

ახალგაზრდა ნატურალისტები აგროვებენ მწერებისა და სუბტროპიკულ მცენარეულობათა კოლექციებს. აკეთებენ პრეპარატებს და სხვ. სკოლის დირექციამ მათ გამოუყო ცალკე ოთახი ბიოლოგიური კაბინეტისათვის.

○

ექიმთა ბრიგადები სოფლებში

ამ დღეებში აჭარის რაიონებში გაემგზავრა ექიმთა პირველი სამი ბრიგადა თესვის კამპანიის დროს კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის. ბრიგადებში შედიან ყველა სპეციალობის ექიმები.

აჭარის ჯანსახკომმა აჭარის რაიონებში გაგზავნა 6 კილოგრამი ქინაქინა, 125 პირველი დახმარების აფთიაქი და 800 ინდივიდუალური ამანათი.

○

„ესპანეთის ამბები"

„საქკინოს" ბათუმის განყოფილებამ მიიღო კინო-ჟურნალის „ესპანეთის ამბების" მე-15 გამოშვება. ჟურნალმა ბათუმის მშრომელებში არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია.

◇

შემთხვევები

**სახლის სახურავის ჩამონგრევა.** გუშინ, 11 აპრილს დილის 6 საათზე ძლიერი წვიმის შედეგად ჩამოინგრა მოქ. ნ. თორთლაძის სახლის სახურავი (იმერეთის შესახვევი). ნანგრევებში მოჰყვნენ და დაიღუპნენ თვით ნ. თორთლაძე და მისი დედა ო. თორთლაძე. 13 წლის ბავშვი ა. თორთლაძე ნანგრევებიდან უვნებლად ამოიყვანეს.

**ბოროტი სპეკულანტები.** მილიციის მე-6 განყოფილებამ სამართალში მისცა ბოროტი სპეკულანტები ა. მელიქიანი (შაუმიანის ქ. 24) და კ. მერაბიანი. (ხივის შესახვ. № 1). სპეკულანტები იძენდნენ სახელმწიფო მაღაზიებში მანუფაქტურას, ფეხსაცმელს და სხვა სამრეწველო საქონელს, რასაც სისტემატურად ჰყიდდნენ ბაზარზე გადიდებულ ფასად. ორივენი სპეკულაციისათვის წინათაც იყვნენ მიცემული პასუხისგებაში, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ „ვაჭრობას". სპეკულანტებს აღმოაჩნდათ 80 მეტრი სხვადასხვა მანუფაქტურა და რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

13 აპრილს აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი— კონსულტაციები თემებზე:

1) ლენინურ-სტალინური მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ. რუსულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

2) ფაშიზმი ახალგაზრდობის უბოროტესი მტერია. ქართულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

○

— საქ. კ.პ. (ბ) კასპის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1504413, გაცემული ამხ. პეტრე იოსების-ძე ირემაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი

გრ. მუშიშვილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

12-IV დილით—ქეთო და კოტე დასაწყ. 12 ს. საღამოს—ა ი დ ა

14-IV ტოსკა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

11-IV წარ. № 147 ნინოშვილის გურია

12-IV წარ. № 148 იცკა რიქინაშვილი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

12 IV შემოდგომის აზნაურები

14 IV ალკაზარ

დასაწყისი სალ 8 საათზე.

სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11

დამკვრელი 6, 7-40, 9-20, 11

კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30

რ. ლუქსემბ. 6, 7-40 9-20, 11

26 კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30

ახალი ამბები

ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ფრთოსანი მღებარი

სცენარი ბ. მდივნისა და ლ. ესაკიასი

რეჟისორი ლეო ესაკია

ოპერატორი დ. კანდელაკი

ესპანეთის ამბები მე-16 გამოშვ. ხმოვანი ჟურნალები №№ 12 და 15.

მუსიკ-ჰოლის თეატრი

13 აპრილს

პლეხანოვის პროსპ., 123

ესტრადის საღამო 1-ლი განყოფილება

მეჩონგურეთა ანსამბლი

ავქ. მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

მე-2 განყოფილება

ემ. აფხაიძე, რესპ. დამს. არტ., ვასო გოძიაშვილი, თ. ჭავჭავაძე. რესპ. დამსახ. არტ., პიერ კობახიძე, ილურიძე და გომელაური.

როიალთან ვასო შავერზაშვილი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე, ბილეთები იყიდება სალაროში. მუდმივი ადგილები ძალაშია ტალონი № 93. 50

სახცირკი—ტელ. 3-11-44.

დღეს, 12 აპრილს

დღისით, 1 ს. წარმოდგენა განახლებული პროგრამით სალარო დილის 10 საათიდან.

საღამოს, 8 ს. 30 წ. მრავალფეროვანი პროგრამა, აგრეთვე ფრანგ. პროფეს. ჭიდაობის მატჩების მე 43 დღე, ჭიდაობს 3 წყვილი: 1—ფრანკ გუდი—პ. შმიდტი, 2—გადამწყვეტი შეხვედრა ყ. მუსტაფა ბ. ვერდენი, 3—ბაბალიკაშვილი—როგბეკი.

ხვალ, 13 აპრილს—საცირკო წარმოდგენა ფრანგ. პროფეს ჭიდაობის მატჩების მე 44 დღე, ჭიდაობს 3 წყვილი. 1—უვადო შეხვედრა შედეგამდე რევანში ბაბალიკაშვილის მხრით ბაბალიკაშვილი—გომოზოვი. 2—საფრონოვი—სევერსკი, 3—ფრანკ გუდი—კარელინი. ჭიდაობის დასაწყისი 10 ს. 30 წ.

საქ. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო აცხადებს, რომ, მანგლისის რაისაკოლმეურნეო სკოლის ლიკვიდაციის გამო, აღნიშნულ სკოლასთან დაკავშირებული პრეტენზიების მიღების ვადად განსაზღვრულია ა/წ. 20 აპრილი, რის შემდეგ პრეტენზიები აღარ იქნება განხილული.

16880

ლიკვიდკომი.

მისამართები, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—8240